# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 5 აპრილი, 2011 წელი.

№62 (6674)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## სიკვდილის ექსპორტი – ახალი ტერმინი სახალხო დამცველის ანგარიშში



4

## რატომ არ დგება კალმახელიძის პასუხის-მგებლობის საკითხი?





2

## მთავრობა მილიარდი დოლარის ვალის აკიდებას აპირებს

2

## „კავკასია" — დამოუკიდებელი, ოპოზიციური ტელევიზია თუ რესპუბლიკური პარტიის „შპს"?



9

## რა ზღაპარი მოჰყვება „ეკონომიკურ უსინდისობას"?

6

კიდევ ერთი ქართული ენერგოობიექტი რუსეთის ხელში აღმოჩნდება




## როდესაც ქვეყნის ინტერესები საფრთხის წინაშე დგას, არ შეიძლება გადაწყვეტილებები არაკომპეტენტურმა ჩინოვნიკმა მიიღოს

3

## აღიარებს აფხაზეთს ისრაელი?

5

## რას მოემსახურება შსს ახალი კომისია...

7

## „შნიძარდის" ვენეციელობა და „ავერსის" მამლუქობა

6

პარლამენტში

# რატომ არ დგება ხათუნა კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხი?



**„მიხეილ სააკაშვილი ჰიტლერის უშნო კალკირებაა“ — განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმა, რომელიც სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშს გამოეხმაურა. გიორგი ტუღუშის 600-გვერდიან ანგარიშში 134 გვერდი პენიტენციურ სისტემაში შექმნილ ვითარებას შეეხება. „პარლამენტში წარმოდგენილი ანგარიში დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. ყველა ნორმალური ფსიქიკის ადამიანს ჩამოუყალიბდება შეხედულება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის შესახებ. ის და მისი თანამოაზრეები: მოადგილეები, სოციალური მუშაკები, ამ სისტემაში მომუშავე ადამიანები ფაშისტური მეთოდებით მართავენ ციხეებს, რომელიც გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებს მოგაგონებს“, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.**

სახალხო დამცველის ანგარიშში დაწვრილებით არის აღწერილი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომხდარი ცალკეული ფაქტების შესახებ. 22 თებერვალს გეგუთის ციხეში სპეცდანიშნულების რაზმი შევიდა. 200 პატიმარი რაზმის კორიდორში გაატარეს და სათითაოდ სცემეს ხელკეტებით. ქსნის № 15 დაწესებულებაში, ზუსტად იგივე მეთოდით გამოიყენეს, ოღონდ ამჯერად პატიმრები აბსოლუტურად გააშიშვლეს, და ისე სცემეს. ასეთი უამრავი ფაქტია აღწერილი.

**„ამის შემდეგ ხათუნა კალმახელიძემ სრულიად დამაჯერებელი ტონით მითხრა, ციხეებში პატიმრები ხანდაზმულობის გამო იღუპებიანო,** — ამბობს გია ცაგარეიშვილი — **ომბუდსმენის სტატისტიკის მიხედვით კი, გარდაცვლილთა საშუალო ასაკი 40-44 წელია. 142 პატიმრიდან მხოლოდ 19 პატიმარი გარდაიცვალა ხანდაზმულობის გამო“.**

ცაგარეიშვილი ადასტურებს, რომ პატიმრები ძალადობის ნიშნებით არიან გარდაცვლილები. ამას დამოუკიდებელი ექსპერტებიც აღნიშნავენ თავიანთ დასკვნებში. რამდენიმე პირის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგა, მაგრამ დღემდე არც ერთი არ დასჯილა. ომბუდსმენის ანგარიშში მოხვდა ინვალიდი პატიმრის ცემის ფაქტი, რომელსაც ციხის ექიმმა მიაყენა შეურაცხყოფა.

„სიკვდილის ექსპორტი ქართულ ციხეებში“ — ასე უწოდა გიორგი ტუღუშმა უკანასკნელ დროს განვითარებულ მოვლენებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ეს ეხება ავადმყოფი პატიმრების გადაყვანას კლინიკებსა თუ ჰოსპიტალებში. **„ხათუნა კალმახელიძე ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მომაკვდავი პატიმრები მოიშოროს. ამიტომ აგზავნიან სამედიცინო დაწესებულებებში, რათა პატიმართა ციხეებში სიკვდილიანობის ნაკლები ციფრი აღირიცხოს,** — ამბობს დეპუტატი, — **განსაკუთრებით ტუბერკულოზით ავადდებიან პატიმრები, რაშიც უშუალოდ ბრალი სააკაშვილს მიუძღვის, რადგან აუტანელ პირობებში უწევთ დაპატიმრებულებს არსებობა. იმატა პატიმართა რიცხვმა, დღეისათვის 24 ათას 600 ადამიანი იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში“.**

ცაგარეიშვილი აღშფოთებულია ექიმთა საქციელით, რადგან, მისი თქმით, ისინი ხელს უწყობენ დანაშაულის დაფარვას და ყალბ დასკვნებს იძლევიან, განსაკუთრებით სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს საყვედურობს.

**„პენიტენციალურ სისტემაში შეუწყნარებელი ვითარებაა, ის აბსოლუტურად გასულია სამოქალაქო კონტროლიდან. დეპუტატებს იქ არავინ გვიშვებს, ინფორმაციას მაინც გამოვიტანდით და საზოგადოებას გაცილებით სარწმუნო დეტალებს მივაწოდებდით“,** — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ომბუდსმენის მოხსენებამ საკომიტეტო მოსმენები უნდა გაიაროს, რის შემდეგაც პარლამენტმა დადგენილება უნდა მიიღოს. **„როგორც წესი, მას დაეწერება „ცნობად იყოს მიღებული“, მაგრამ ეს სრულებითაც არ არის საკმარისი“,** — განაცხადა ცაგარეიშვილმა ბრიფინგზე და პარლამენტს აქტიურობისკენ მოუწოდა. **„ასეთი ფორმალური პროცედურების ნაცვლად, უმჯობესია, პარლამენტმა პირდაპირ დააყენოს ხათუნა კალმახელიძის პასუხისმგელობის საკითხი, რადგან ის, რაზეც ომბუდსმენის დასკვნაშია საუბარი, დანაშაულის აშკარა მაგალითებია“,** — დასძინა მან.

თეა მოსია





ხელისუფლება და ოპოზიცია

# ორმაგი ჩიხი

**ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მოლაპარაკებათა პროცესი დაიბლოკა. ამ დრომდე გაურკვეველია, გააგრძელებენ თუ არა მხარეები დიალოგს და — რა ფორმით.**

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოულოდნელად დანიშნულ მორიგ შეხვედრაზე ოპოზიციური პარტიებიდან უმრავლესობა არ გამოცხადდა. ეს კი, მიზეზი გახდა ხელისუფლებისთვის, ოპონენტები მოლაპარაკებათა პროცესის ჩაშლაში დაედანაშაულებინა.

ხელისუფლების უკმაყოფილება, განსაკუთრებით, „ოპოზიციური რვიანის“ დაუსწრებლობამ გამოიწვია. „რვიანის“ შემადგენლობიდან შეხვედრას მხოლოდ „ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი, ლევან ვეფხვაძე ესწრებოდა, რომლის განცხადებითაც, შეხვედრაზე იმიტომ იმყოფება, რომ რიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარეობა უწევდა.

შეხვედრის შემდეგ ლევან ვეფხვაძეს ჟურნალისტებთან არ დაუმალავს, რომ მოლაპარაკებათა პროცესი ჩაშლის პირას არის. მისივე ცნობით, შეხვედრაზე ხელისუფლებასთან მოხდა შეთანხმება, რომ დიალოგი ცალკეულ პარტიებთან ინდივიდუალურ რეჟიმში გაგრძელდება, რაშიც (ქრისტიან-დემოკრატები შუამავლის ფუნქციას შეასრულებენ.

თუმცა, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი პავლე კუბლაშვილი იმ პოლიტიკურ პარტიებთან, რომლებმაც, მისი თქმით, „მოლაპარაკებები ჩაშალეს“, რაიმე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას ვერ ხედავს.

„ჩვენმა ოპონენტებმა მოლაპარაკებების მაგიდა მიატოვეს; მიატოვეს ერთადერთი მიზეზის გამო, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიცია არ მოსწონთ საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით; მე მათგან მოვისმინე ერთადერთი რამ, რომ სანამ არ შეიცლება ხელისუფლების პოზიცია, არ დავბრუნდებით მოლაპარაკებების მაგიდასთან; ხელისუფლების პოზიციის შეცვლას კი გულისხმობდნენ იმ ნაწილში, რომ რაიონს აღარ ჰყავდეს მაჟორიტარი დეპუტატი. ამ ნაწილში ხელისუფლების პოზიცია არ შეიცვლება, რადგან არც ერთი არგუმენტი არ მოუტანიათ მოლაპარაკებებზე“, — განაცხადა კუბლაშვილმა.

დეპუტატის თქმით, დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებთან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე დაწყებული მოლაპარაკებები გადავა ისეთ რეჟიმში, სადაც ყველას ექნება საშუალება, შეაჯეროს თავისი პოზიციები წარმოდგენილ საკითხებთან მიმართებაში.

„ოპოზიციურ რვიანში“ ხელისუფლების საპასუხოდ აცხადებენ, რომ მოლაპარაკებათა მაგიდა არ დაუტოვებიათ და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხზე არსებული ფორმატით დიალოგის წარმატებულობა მთლიანად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის, „რვიანის“ წარმომადგენლის ირაკლი ჩიქოვანის განცხადებით, თუკი ხელისუფლება შეძლებს, წარმოადგინოს ადეკვატური წინადადებები საარჩევნო გარემოს თვისობრივად შეცვლაზე, „რვიანი“ მზად არის, იმუშაოს მათ დახვეწაზე. წინაამღდეგ შემთხვევაში, ხელისუფლებასთან დიალოგში აზრს ვერ ხედავს.

სამართლიანი არჩევნების მოპოვებისთვის სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებაზე საუბრობს „რვიანის“ კიდევ ერთი შემადგენელი პარტიის, „ეროვნული ფორუმის“ ლიდერი კახა შარტავა. შარტავა ხელისუფლებას „არჩევნების გამყალბებელს“ უწოდებს და დარწმუნებულია, რომ მის წარმომადგენლებს არ სურთ საარჩევნო გარემოს შეცვლა. „საარჩევნო კოდექსზე მოლაპარაკებების ჩაშლის მცდელობა ხელისუფლებას 23 მარტს ჰქონდა, როცა საპარლამენტო მოსმენების მიზეზით მოლაპარაკებებზე არ მივიდა. გუშინაც უსმენდნენ პრემიერ-მინისტრს, თუმცა მოინდომეს მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა. ეს იყო მცდელობა, რომ „რვიანი“ გამოეყვანათ დამნაშავე. ხელისუფლებამ არ მოინდომა დისკუსია იმ საკითხებზე, რაც „რვიანმა“ დადო. ის ცდილობს, მის მიერ მოგონილი წინადადებების განხილვაზე გადაგვიყვანოს, რაც მათი მხრიდან პროცედურისა და შეთანხმების დარღვევა და მოლაპარაკების ჩაშლის მცდელობაა. ისინი სერიოზული მოლაპარაკებებისთვის მზად არ არიან“, — აცხადებს „ფორუმის“ ლიდერი.

რამდენად შესაძლებელია, ხელისუფლებამ და „ოპოზიციურმა რვიანმა“ მოლაპარაკებები ინდივიდუალურ რეჟიმში გააგრძელონ, ამას დრო აჩვენებს. იმ ფონზე, როცა მთავარი პოლიტიკური ძალები პოზიციების დათმობას არ აპირებენ, მოლაპარაკებებში მონაწილე სხვა სუბიექტები, თურმე, „ალტერნატიული რვიანის“ შექმნაზე ფიქრობენ.

ექსპრემიერ ზურაბ ნოღაიდელთან დაპირისპირებული ყოფილი თანაპარტიელები ახლა სახელის წართმევას „რვიანისთვის“ ეცდებიან. მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ წარმომადგენელმა ზაზა სვანაძემ გუშინდელი შეხვედრის შემდეგ ერთგვარი სიამაყითაც კი განაცხადა, რომ თავად შექმნიან „ალტერნატიულ რვიანს“ და ამ საკითხზე მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს სხვა პოლიტიკურ პარტიებთან.

სვანაძემ მხოლოდ ერთი პარტიის „ვინაობა“ გაამხილა. მისი ცნობით, კონსულტაცია უკვე მიმდინარეობს კოკო გამსახურდიას „თავისუფლებასთან“.

ჯერ ნაადრევია საუბარი, რამდენად ანგარიშგასაწევი იქნება ხელისუფლებისთვის „ალტერნატიული რვიანი“. რადგან საერთაშორისო თანამეგობრობა მხარეებს საარჩევნო გარემოს შეცვლის საკითხში კონსენსუსის მიღწევისკენ მოუწოდებს და დემოკრატიული საარჩევნო კანონის აუცილებლობაზე საუბრობს, არ არის გამორიცხული, ხელისუფლებასა და „ალტერნატიულ რვიანს“ შორის „შეთანხმებაც“ შედგეს.

ხათუნა კილურაძე
„ინტერპრესნიუსი“

ბრიფინგი

# მთავრობა მილიარდი დოლარის ვალის აკიდებას აპირებს



**საკანონმდებლო ორგანოში ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ პროექტი განიხილეს, რომელსაც „ქართული დასის“ ლიდერი ჟონდი ბაღათურია გამოეხმაურა.**

გუშინ გამართულ ბრიფინგზე მან ცვლილებების პაკეტს კიდევ ერთი ტყუილი და შეუსრულებელი პირობა უწოდა. „ცვლილებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცხადია, რომ არ სრულდება პირობა, რომლის მიხედვით სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 150 მილიონი ლარი უნდა გამოყოფილიყო. ამის შესახებ ჯერ პრეზიდენტმა ილაპარაკა პარლამენტში სტუმრობისას, შემდეგ კი მთავრობამ პროექტიც წარმოადგინა. ასე საჯაროდ გახმიანებული პირობა, მაინც არ სრულდება, რადგან რეალურად მხოლოდ 9 მილიონი ლარია გამოყოფილი“, — აღნიშნა ბაღათურიამ.

ცვლილებათა პაკეტის მიხედვით საქართველოს მთავრობა პარლამენტისგან ითხოვს თანხმობას, რათა მან ახალი ერთი მილიარდი დოლარის ვალი აიღოს. **„აზიის განვითარების ბანკიდან ცდილობენ ისესხონ 500 მილიონი აშშ დოლარი ურბანული განვითარებისათვის,** — აცხადებს დეპუტატი, — **როცა ჩავეძიეთ დეტალურად, რას გულისხმობს ურბანული განვითარება, აღმოჩნდა, რომ უნდა დააფინანსონ ისევ მესტია, ანაკლია და ტურისტული ზონების ინფრასტრუქტურა, რაც მაინცდამაინც უშუალო კავშირში არ არის სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურასთან, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა განხორციელებულიყო“.**

მთავრობა მეორე 500 მილიონი დოლარის სახაზინო ვალდებულებების ალებას და ევრობონდებში განთავსებას აპირებს. „წარმოგიდგენიათ ეს თანხა, რომ სოფლის მეურნეობაში ჩადოს?! 6-7 თვეში შეიქმნებოდა ჭარბი პროდუქცია, გაიაფდებოდა საქონელი, შემცირდებოდა ინფლაცია და შეიქმნებოდა სამუშაო ადგილები“... — ამბობს „ქართული დასის“ ლიდერი.



**მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი პროგნოზები ჯერ ისევ არარეალურია. სავარაუდოდ, მთავრობის პარლამენტში ბიუჯეტის ცვლილებების პაკეტის გატანა არ გაუჭირდება და, ალბათ, მილიარდი დოლარის ვალს ისევ ავიკიდებთ. წინ არჩევნებია, ამიტომ ხელისუფლებას ასე „უგერგილოდ გასაფანტი“ ფულის ფუფუნება არა აქვს. ნაციონალებს მოსაგები აქვთ: ხმები და ხალხის გული, ოღონდ თავისებურად, განსაკუთრებული მეთოდებით...**

ნია ფიფია

## საერთაშორისო სასამართლო

# როდესაც ქვეყნის ინტერესები საფრთხის წინაშე დგას, არ შეიძლება გადაწყვეტილებები არაკომპეტენტურმა ჩინოვნიკმა მიიღოს





***ჰააგაში,** კერძოდ გაეროს საერთაშორისო სასამართლოში ქართული მხარის სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ **„ინტერპრესნიუსი“** საერთაშორისო სამართლის ექსპერტს, პროფესორ **ლევან ალექსიძეს** ესაუბრა.*

**– ბატონო ლევან, გაეროს საერთაშორისო სასამართლოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე ურთიერთგამომრიცხავი კომენტარები გაკეთდა. რა გადაწყვეტილება მიიღო ჰააგის სასამართლომ და შედეგის თვალსაზრისით, როგორია იგი ქართული მხარისთვის?**

– ჰააგაში რამდენიმე სასამართლოა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ზოგიერთ ინფორმაციაში ნათქვამია, თითქოს საქმე განიხილა ჰააგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ. ჰააგაში ასეთი სასამართლო არ არსებობს. იქ არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, იუგოსლავიის მოვლენებთან დაკავშირებით მოქმედი ტრიბუნალი და გაეროს დაარსების დღიდან არსებული გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ანუ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო.

გაეროს საერთაშორისო სასამართლო იხილავს საქმეებს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოებს შორის. როცა ერთი მხარე უჩივის მეორე მხარეს, ხოლო მეორე უარზეა, ამ შემთხვევაში სასამართლო საქმეს ხელს ვერ მოკიდებს. ამიტომ, იმ საკითხის დასმა, რაც აგვისტოს ომის დროს ამოხდა, ამ სასამართლოში არ შეიძლებოდა.

დაირღვა ჰუმანიტარული სამართალი, რუსეთი შემოვიდა საქართველოში და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ინტერვენცია მოახდინა. მე ამის შესახებ მაშინაც ვამბობდი, როცა ჩვენი ოპოზიცია ყიჟინებდა, თითქოს ომი საქართველომ დაიწყო და ყველაფერი ჩვენი ბრალია. დღეს არავის ეჭვი არ ეპარება, რომ 2008 წლის აგვისტოში იყო საქართველოს წინააღმდეგ აგრესია, ოკუპაცია და ინტერვენცია, რაც საერთაშორისო სამართლის დარღვევაა. ამაზე ტალიავინის მოხსენებაც ძალიან კარგად მეტყველებს. სამწუხაროდ, ჩვენ სარჩელში ეს სათანადოდ არ ასახულა.

ხელისუფლების წარმომადგენლები, კერძოდ, იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანი აქტიურად უწევდა პროპაგანდას ჩვენს მიერ გაეროს საერთაშორისო სასამართლოში სარჩელის შეტანას და ასეთი პოზიციის დასაბუთებას დღემდე აგრძელებს. ჩემი აზრით, ქართულმა მხარემ გაეროს საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი ნაჩქარევად, 2008 წლის 12 აგვისტოს შეიტანა. ასეთი რამ, ასე ნაუცბათევად არ ხდება. საერთაშორისო სასამართლო ისეთი ორგანოა, რომელიც წლების მანძილზე იხილავს საქმეებს.

გაეროს საერთაშორისო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით დავა 1990-იან წლებიდან მოყოლებული, 2008 წლის აგვისტომდე არ არსებობდა. ეს საკითხი საქართველომ მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს წამოჭრა. რუსეთს სურდა, ჩვენს სარჩელზე მხარედ არ ეღიარებინათ, მაგრამ სასამართლომ რუსეთი მხარედ მაინც სცნო. აშკარაა და ყველამ იცის, რომ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ აგრესია განახორციელა და ამისათვის სასამართლო საჭირო არ იყო. იმავე ევროპის საბჭომ, ევროკავშირმა და ნატომ საქართველოს საკითხში რუსეთი აღიარეს მხარედ და საუბრობენ საქართველო-რუსეთის ომზე. სასამართლომ მიიღო რუსეთის საპასუხო არგუმენტები – საქართველომ სასამართლოს არასწორად იმის გამო მიმართა, რომ „კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“, რომელსაც ქართული მხარე თავის სარჩელში უთითებს და, რომლის ძალითაც რუსეთი ვალდებულია, გამოცხადდეს სასამართლოში, შესაძლოა, იყოს სარჩელის საფუძველი, მაგრამ საქართველომ ამ კონვენციის სრულად ასამოქმედებლად არ დაიცვა წინაპირობები, რითაც სასამართლოში რუსეთის მიყვანა შეიძლებოდა.

რაში მდგომარეობს ეს წინაპირობები? უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები, მოსარჩელე მხარე შეეცადოს პრობლემის მოლაპარაკებებით მოგვარებას. თუ ეს მოლაპარაკებების გზით ვერ მოხერხდა, მაშინ არსებობს რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტი, რომელშიც საკითხის განხილვა 5-პუნქტიანი პროცედურის დაცვით უნდა წარიმართოს. 5-პუნქტიანი პროცედურა ითვალისწინებს იმასაც, თუ როგორ უნდა უჩივლო, როგორ უნდა იყოს განხილული საქმე და როგორ აცნობონ რუსეთს, ეს კი, არ არის შესრულებული.

სასამართლომ გადაწყვეტილების მისაღებად იხელმძღვანელა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კონვენციის 22-ე მუხლით, რომელშიც ნათქვამია, რომ კონფლიქტი პირდაპირი მოლაპარაკებების ან ამავე კომიტეტის საშუალებით უნდა მოწესრიგდეს. საწყენია სასამართლოს გადაწყვეტილებაში შემდეგი ჩანაწერი - ქართულმა მხარემ აღიარა, რომ რუსეთის წინააღმდეგ რასობრივი დისკრიმინაციის საერთაშორისო კონვენციის ასამოქმედებლად, ანუ საკითხის დასასმელად, ყველა ეტაპი და პროცედურა არ გაუვლია. ქართულმა მხარემ გაეროს საერთაშორისო სასამართლოში საქმე სარჩელის არასწორად შეტანის გამო წააგო.

სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოში განხორციელებულ ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით რუსეთი მხარეა, მაგრამ მხოლოდ აგვისტოს ომის შემდეგ. სასამართლოს ვინმეს ბრალეულობა და დამნაშავეობა არ განხილვას საჭიროებს, დარღვეულია, ანუ არ შესრულებულა.

**– თუ გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ქართული მხარის სარჩელის მიღების უფლება არ ჰქონდა, ქართულმა მხარემ რატომ შეიტანა ამ სასამართლოში სარჩელი, ან თავად ჰააგის სასამართლომ რატომ მიიღო განსახილველად?**

– 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დასრულების შემდეგ, საერთაშორისო სამართლის ცნობილმა პროფესორმა ანტონიო კასესემ (რომელიც არა მარტო დიდი მეცნიერია, არამედ რამდენიმე საერთაშორისო სასამართლოსა და ტრიბუნალს თავმჯდომარეობდაძ, 2008 წლის 1 სექტემბერს გაზეთ „გარდიანში“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „მგელი, რომელმაც შეჭამა საქართველო“. კასესე საქართველოს მიმართ რუსეთის ნამოქმედარსა და პოზიციას აცამტვერებს, მაგრამ იმავე სტატიაში იგი აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარი იყო, რატომ მიმართა საქართველომ გაეროს საერთაშორისო სასამართლოს და არა – სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს. რასაც ჩვენ რუსეთს ვდებდით ბრალად, უფრო სისხლის სამართლის სასამართლოს კომპეტენციაა, ვინაიდან, ეთნიკური წმენდისა და გენოციდის საკითხებს სწორედ ეს სასამართლო განიხილავს.

**– რასთანაც ახლა ჩვენ გვაქვს საქმე და, ფაქტობრივად, რის წინაშეც აღმოვჩდით, ქართული მხარის არასაკმარისი პროფესიონალიზმის ბრალია თუ კიდევ სხვა რამის?**

–თავიდანვე, როცა ქართულმა მხარემ სარჩელი შეიტანა, პრაქტიკულად ომი დასრულებულიც არ იყო. მაშინ სასამართლომ მოგვიანებით, ოქტომბერში გამოიტანა დადგენილება და ორივე მხარეს მოუწოდა, შეეწყვიტოს საომარი მოქმედება, ეთნიკური წმენდა, ადამიანების რასობრივი დისკრიმინაცია.

იხ. 5 გვ.

## „სამხრეთ ოსეთი“

### ედუარდ კოკოითი პასუხისმგებლობას ეუთოს აკისრებს

**ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერი ედუარდ კოკოითი, 2008 წლის აგვისტოში განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობას ეუთოს აკისრებს.**

ამის შესახებ კოკოითიმ რუსეთის სახელმწიფო სოციალურ უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა.



„ჩვენ ვთვლით და მზად ვარ ნებისმიერ სასამართლოში გავიმეორო, რომ აგრესიასა და ოსი ხალხის გენოციდზე პასუხისმგებელი ეუთოა, დამკვირვებლები, რომლებიც გაჩუმდნენ და გავიდნენ კონფლიქტის ზონიდან აგრესიის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე“, – აღნიშნავს სეპარატისტთა ლიდერი.

ამასთან, კოკოითის შეფასებით, დასავლეთი ვალდებულია ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღდგენაში დაეხმარა, რადგან სწორედ ის აძლევდა იარაღს „სააკაშვილის რეჟიმს“.

„იმის ნაცვლად, რომ დასავლეთს მინიმალური პასუხისმგებლობა აეღო, პირიქით ამჯერადაც წაიყრუა და ეს პასუხისმგებლობა რუსეთმა აიღო და გვეხმარება ქვეყნის აღდგენაში“, – აღნიშნა კოკოითიმ და დასძინა, რომ ზოგიერთი დასავლეთელი პოლიტიკოსი ცდილობს, რომ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე რუსეთის მხრიდან სამხედრო და ფინანსური დახმარება ამ ტერიტორიების ანექსიად მონათლოს.

„რუსეთს სხვისი ტერიტორიები არ სჭირდება“, – ამტკიცებს ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერი.

### პრეზიდენტობას მესამედ არ აპირებს

**ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერის ედუარდ კოკოითის მტკიცებით, ე.წ. პრეზიდენტის პოსტზე მესამე ვადით კენჭისყრას არ აპირებს.**

ამის შესახებ კოკოითიმ რუსეთის სახელმწიფო სოციალურ უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა.

„კონსტიტუცია ჩვენი ხალხის სისხლით არის დაწერილი და ის არ შეიძლება გადაკეთდეს ერთი ადამიანისთვის“, – აღნიშნა კოკოითიმ.

ამასთან, სეპარატისტთა ლიდერი პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს და აცხადებს, რომ „ქვეყნის სასარგებლოდ გააგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას“.

### საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადების შეუფასებლობა დიდი შეცდომა იყო

**ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერის ედუარდ კოკოითის შეფასებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადების შეუფასებლობა დიდი შეცდომა იყო.**

ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერის ედუარდ კოკოითის შეფასებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადების შეუფასებლობა დიდი შეცდომა იყო.

ამის შესახებ კოკოითიმ რუსეთის სახელმწიფო სოციალურ უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრაზე 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენების შეფასებისას განაცხადა.

„ისინი იყვნენ კარგად მომზადებულები და გაწვრთნილები დასავლელი მხარდამჭერების მიერ. მათ ჰქონდათ ყველაზე თანამედროვე აღჭურვილობა და ის ტექნიკაც კი, რომელიც საბჭოთა დროინდელი იყო, ისიც კი მოდერნიზებული ჰქონდათ. რუსეთის ჯარისთვის ეს ადვილი არ იყო. ისინი არ იბრძოდნენ არა რაღაც ბანდასთან, არამედ კარგად გაწვრთნილ არმიასთან“, – აღნიშნა სტუდენტებთან საუბრისას კოკოითიმ.

ამასთან, ოს სეპარატისტთა ლიდერმა აღნიშნა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებისთვის ოსი ხალხის ისტორიაში რუსეთის პრეზიდენტის და ხელისუფლების წარმომადგენლების გვარები ოქროს ასოებით ჩაიწერება.

ჯი-ეიჩ-ენი

## ინფორმაცია

### ფოთის პორტის ნაწილი დანიურმა კომპანიამ იყიდა

**PM Terminlas ფოთის პორტის 80 %-ის მფლობელი ხდება. ფოთის საზღვაო ნავსადგურის ახალი მფლობელი, ვალდებულია პორტის განვითარებისათვის 65 მლნ. დოლარის ინვესტიცია განახორციელოს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ვერა ქობალიას განმარტებით, კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ ადგილობრივ კადრებს დაასაქმებს.**

**– ამ კომპანიას ექნება დამატებითი ვალდებულება 65 მლნ დოლარის ინვესტიცია განახორციელოს. კომპანია ვალდებულებას იღებს ასევე, რომ ფოთის პორტში ადგილობრივი მოსახლეობა დაასაქმოს. რაც შეეხება „რაკია საქართველოს“, ის 2012 წლის ბოლომდე ფოთის აეროპორტის მშენებლობას დაასრულებს, – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ.**

**უკვე ცნობილია, რომ PM Terminlas-სა და ფოთის პორტის ოპერატორ „რაკია ჯორჯიას“ შორის გარიგების დეტალები, კოპენჰაგენში, PM Terminlas-ის სათაო ოფისში დაზუსტდება. წინასწარი ინფორმაციით, გარიგების შედეგად იგი ფოთის საზღვაო ნავსადგურის 80 %-ის მფლობელი ხდება.**

**„რაკია ჯორჯიას“ წარმომადგენლობა აღნიშნული გარიგების შესახებ არ საუბრობს, თუმცა აღნიშნავს, რომ კომპანია ახალი ინვესტორის ძიებაშია.**

**ახალი ინვესტორი ინფრასტრუქტურისა და ფოთის აღჭურვილობის განვითარებაზე იზრუნებს“ – აღნიშნა „რაკია საქართველოს“ წარმომადგენელმა რონი სააბიმ.**

ჯი-ეიჩ-ენი

ნაციონალთა სახე

# სიკვდილის ექსპორტი – ახალი ტერმინი სახალხო დამცველის ანგარიშში

**სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა საქართველოში 2010 წლის ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა.**

**700 გვერდამდე დოკუმენტი სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებგვერდზე www.ombudsman.ge განთავსდა. მოხსენება პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს გადაეგზავნა.**

**მოხსენების შესახებ „ინტერპრესნიუსს" გიორგი ტუღუშმა ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა.**



**– 2010 წლის ანგარიშში ასახულია ყველა უფლებადარღვევის ფაქტი, რომლებსაც სახალხო დამცველის აპარატი 2010 წლის განმავლობაში სწავლობდა.**

მოხსენებაში გამოკვეთილი იქნება ზოგადი ტენდენციები, რომლებიც, სახალხო დამცველის აზრით, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი იყო.

ანგარიშში პენიტენციურ სისტემაში არსებული მდგომარეობის დეტალური ანალიზი იქნება. გამოწვლილვით გაანალიზდება შსს-სა და პოლიციის, ასევე, სასამართლოს საქმიანობა. უყურადღებოდ არ დაგვრჩება დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა. 2010 წელი საკმაოდ აქტიური იყო დევნილთა უფლებების თვალსაზრისით და ეს 2011-შიც გაგრძელდა. დეტალური მონაცემები იქნება ბავშვთა სახლებში მონიტორინგთან დაკავშირებით. ბავშვთა სახლებში ჩატარდა დეტალური მონიტორინგი, რომელიც ასახავს საქართველოს მთელ ტერიტორიას. უყურადღებოდ არ დაგვრჩენია ბავშვთა უფლებები. ქალთა უფლებების შესახებ გაჩნდა ცალკე თავი. არაერთხელ იყო საუბარი, რომ ქალთა უფლებებს არ ექცეოდა ყურადღება. ჩვენ წელს უკვე გარკვეული შეფასებები გავაკეთეთ ამ მიმართულებითაც. ანგარიშში საკუთრების უფლებების ხელყოფაზეც არის საუბარი, ეს უკავშირდება როგორც საკუთრების უფლების კომისიის აღიარებას, ასევე, საგამოძიებო ორგანოების საქმიანობას სწორედ საკუთრებასთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, არის რამდენიმე ფაქტი, რომელსაც სახალხო დამცველი წლის განმავლობაში სწავლობდა. საუბარია, ასევე, შრომის უფლებაზე, სამსახურიდან დათხოვნაზე, როდესაც ამას მოჰყვა ადამიანის უფლებების დარღვევა. ძირითადად, ეს ეხება საჯარო მოხელეებს, რომლებიც უკანონოდ დაითხოვეს. საუბარია ასევე სახელფასო დავალიანებებზე, რომელიც აქვს მთელ რიგ უწყებებს და ბოლო რამდენიმე წელია, არ გადახდილა.

**– სასჯელაღსრულების სფერო ერთადერთია, სადაც სახალხო დამცველის მონიტორების გარდა ხელი სხვას არავის მიუწვდება. აქედან გამომდინარე, საინტერესოა ანგარიშის მიხედვით, რა მდგომარეობაა ამ სისტემაში?**

– სწორედ ამიტომ ყველაზე დიდ ადგილს მოხსენებაში ეს სფერო იკავებს. სახალხო დამცველის აპარატი და მისი პრევენციის ეროვნული მექანიზმი არის ერთ-ერთი ყველაზე სარწმუნო წყარო იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევა ეფუძნება უშუალოდ ჩატარებულ მონიტორინგს, როდესაც შიგნით ვსწავლობთ ვითარებას. არის მიმართულებები, სადაც გაუმჯობესებაა, მაგრამ არის მიმართულებები, სადაც გაუარესებაა. ინფრასტრუქტურის კუთხით რამდენიმე პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა, გაიხსნა ქსნის დაწესებულების ტერიტორიაზე ახალი კორპუსი, რომელმაც მკვეთრად გააუმჯობესა საყოფაცხოვრებო პირობები იმ პატიმრებს, რომლებიც ძველ ზონაზე იმყოფებოდნენ, თუმცა იქ კვლავ რჩებიან პატიმრები და კვლავ ცუდი პირობებია. ერთ-ერთი მძიმე თემა ჩემთვის, როგორც სახალხო დამცველისთვის, სისტემაში გარდაცვლილთა რაოდენობაა, რომელმაც 50 პროცენტით იმატა წინა წელთან შედარებით. გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობამ წელს 142 შეადგინა, როდესაც ეს მაჩვენებელი შარშან 100-ზე ქვემოთ იყო.

**– რა გახდა ამის გამომწვევი მიზეზები?**

– ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი პატიმართა გარდაცვალების ტუბერკულოზია, ასევე, გულსისხლძარღვთა და სხვადასხვა ინფექციური დაავადებები, მათ შორის ძალიან ბევრ გარდაცვლილ პატიმარს ტუბერკულოზის გარდა C ჰეპატიტი აღენიშნებოდა. ეს გაკვეთის შედეგებმა დაადასტურა. ამასთან, ტუბერკულოზთან დაკავშირებული პრობლემა გაღრმავდა, არათუ მოგვარდა. ასევე 2010 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა „სიკვდილის ექსპორტს". ანგარიშში სწორედ ამ ტერმინით მოვიხსენიებ, როდესაც ფაქტობრივად გარდაცვლილი პატიმრები სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გაჰყავდათ. ძალიან ბევრი პატიმარი, რომელიც გაიყვანეს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ან პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან, შეიძლება გზაში არ გარდაიცვალა, მაგრამ მაქსიმუმ ორი დღე იცოცხლა სამოქალაქო ტიპის საავადმყოფოში. ეს მონაცემები დეტალურად არის ანგარიშში.

**– თუ არის გამოკვეთილი მოხსენებაში პასუხისმგებელი პირების საკითხი?**

– ჩემს ანგარიშში სასჯელაღსრულების სისტემის არაერთი თანამშრომლის გვარი და სახელია მითითებული, რომლებიც შემჩნეული იყვნენ პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობაში. პირდაპირ გვარები და სახელებია მითითებული არასათანადო მოპყრობის თავში.

**– რომელ ფაქტებზეა ყურადღება გამახვილებული?**

– ყურადღება გამახვილებულია ინციდენტებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქსნის დაწესებულებაში, ასევე, პატიმართა და მსჯავრდებულთა დაწესებულებაში, გეგუთის დაწესებულებაში და თუ არ ვცდები, ფიგურირებს რუსთავის №6 დაწესებულებაც.

**– თუ არის გამოძიება დაწყებული?**

– გამოძიება უმეტეს ფაქტებზე დაწყებულია, თუმცა შედეგი არც ერთზე დამდგარი არ არის ჯერჯერობით. ჩემი ინფორმაციით, პასუხისგებაში ამ ფაქტების გამო არავინ მიცემულა.

**– სახალხო დამცველის ანგარიშებში სამართალდამცავების მუშაობას ცალკე თავი ეთმობა-ხოლმე. პოლიციის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევას თუ ჰქონდა ადგილი 2010 წელს?**

– პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ გვაქვს ფაქტები განსაკუთრებით – დასავლეთ საქართველოში. გვაქვს ფაქტები, როდესაც რამდენიმე ადამიანს თვითნებურად თავისუფლება აღუკვეთეს და ხანგრძლივი პერიოდით იმყოფებოდნენ პოლიციაში, შემდეგ ისინი გაათავისუფლეს. მათ რეალურად შეზღუდული ჰქონდათ თავისუფლება. ასევე საუბარია გადამეტებული ძალის გამოყენებაზე. ეს ეხება სამეგრელოს რეგიონს და ქუთაისს. საუბარია პოლიციის მხრიდან ეთიკის კოდექსის დარღვევაზე და მთელ რიგ ისეთ ფაქტებზე, სადაც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება. რამდენიმე ფაქტზე, რომელიც სახალხო დამცველმა 2010 წლის განმავლობაში პროკურატურას გადაუგზავნა, წამების აკრძალვის მუხლით გამოძიება დაწყებულია. გამოძიება დაწყებულია კონკრეტული პოლიციელების მიმართ, თუმცა შედეგით არ დასრულებულა.

**– სასამართლოს მიმართულებით 2010 წელი როგორ ფასდება?**

– უმეტესობა იმ პრობლემების, რომელებზეც 2009 წლის მეორე ნახევარში ვსაუბრობდი, კვლავ აქტუალური იყო 2010 წლის განმავლობაში, თუმცა გამოიკვეთა კიდევ რამდენიმე ახალი მიმართულება, რომელზეც ანგარიშში დეტალურად არის საუბარი, ეს ეხება იმავე სასჯელების შეკრებითობის პრინციპის გამოყენებას, როდესაც ჩვენ ჩავთვალეთ, რომ უხეშად დაირღვა ადამიანის უფლებები. სასამართლომ, ჩვენი აზრით, არასწორად დააჯამა და დაამძიმა ბრალდებულის მდგომარეობა. კანონში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, მდგომარეობის შემსუბუქების მაგივრად, დაამძიმა სასჯელი. ანგარიშში კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეებიც არის მითითებული, რომელსაც სახალხო დამცველი წლის განმავლობაში სწავლობდა. ასევე, კვლავ ვაწყდებით პრობლემას, რომელიც ეხება შუალედურ და საბოლოო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობას. ჩვენ შეგვიძლია, საფუძვლიანი ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ მოსამართლემ არ დაასაბუთა მის მიერვე გამოტანილი განაჩენი ან გადაწყვეტილება.

**– ანუ ობიექტური გადაწყვეტილებები არ იყო?**

– საფუძვლიანი ეჭვის შეტანა შეიძლება, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება პირებს დაერღვათ, როდესაც მათ საქმეს იხილავდა სასამართლო.

**– ანგარიშის მიხედვით, რომელიმე მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი თუ იკვეთება?**

– ვერ გეტყვით, რომ 2010 წელს იყო ისეთი ფაქტები, სადაც გამოკვეთილია კონკრეტული უფლების დარღვევისას რომელიმე პოლიტიკური თანამდებობის პირის უშუალო მონაწილეობა. თუმცა, ანარიშში მოხსენიებულია არაერთი უწყება, რომელიც არღვევდა ადამიანის უფლებებს, მოხსენიებული არიან კონკრეტული საჯარო მოხელეები, განსაკუთრებით სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები, რომლებიც, ჩემი აზრით, უშუალოდ არღვევდნენ ადამიანის უფლებებს. ძალიან რთულია კონკრეტული თანამდებობის პირი გამოკვეთო; გამოკვეთო ადამიანი, რომელმაც უშუალო მითითება მისცა რომელიმე საჯარო მოხელეს, თუმცა ყველა ის ადამიანი, რომელიც მოიხსენიებოდა ჩვენს ახსნა-განმარტებებში მოწოდებულ ინფორმაციაში, გვარებითა და სახელებით არის მოხსენიებული ანგარიშში.

**– სახალხო დამცველის რეკომენდაციებისა და ანგარიშების მიმართ როგორია ხელისუფლების მიდგომა?**

– იყო შემთხვევები, როდესაც ნაწილი ჩემი რეკომენდაციების იქნა გათვალისწინებული, თუმცა არის მიმართულებები, სადაც საკმაოდ პესიმისტური სურათია, იგივე გამოძიებები. ძალიან ხშირად ჩემი მიმართვის საფუძველზე გამოძიება იწყება, თუმცა ერთია გამოძიების დაწყება, მეორეა, თუ როგორ წარიმართება გამოძიება, რამდენად გონივრულ ვადაში ჩატარდება და გამოიღებს შედეგს. მე ამას ჩემს წინა ანგარიშშიც ვაკრიტიკებდი. ამ ანგარიშშიც საკმაოდ დიდი კრიტიკა იქნება გამოძიების კუთხით.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ნაწილი ჩემი რეკომენდაციებისა გაითვალისწინეს, თუმცა ძალიან დიდი ნაწილი იმავე ჯანდაცვასთან მიმართებაში, არ იქნა გაზიარებული, რაც ამ ანგარიშშიც არის მითითებული. ჩემი აზრით, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სავალალო შედეგი მიიღეს წელს და მკვეთრად იმატა გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობამ, არის ის, რომ არ გაიზიარეს ნაწილი იმ რეკომენდაციებისა, რომელიც მათ გავუგზავნე ჯერ კიდევ 2009 წლის პირველ და მეორე ნახევარში.

**ბელა ზაქაიძე**

ინფორმაცია

## რუსი სპეცრაზმელები აფხაზეთის ჯარში

**რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმების წარმომადგენლები აფხაზეთის ე.წ. შეიარაღებულ ძალებში ეწერებიან და 50 ათასი რუსული რუბლის ოდენობით ხელფასს იღებენ. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული სააგენტო „Life News"-ი ავრცელებს.**

**მათივე ინფორმაციით, აფხაზეთში რუს სამხედრო მოსამსახურეებზე დიდი მოთხოვნაა და სეპარატისტები აქტიურად იღებენ თავიანთი ე.წ. შეიარაღებული ძალების რიგებში რუს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს.**



**სააგენტო ე.წ. აფხაზურ არმიაში ე.წ. საკუთარ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ ამჟამად სეპარატისტთა ე.წ. შეიარაღებულ ძალებში 500 რუსი კონტრაქტის მომსახურეა.**

**– ქვეყნის ხელისუფლებას იმდენი ფული არ აქვს, რომ ხელფასის გადახდა და შენახვა უზრუნველყოს, ამიტომაც, სინამდვილეში ამ კონტრაქტით მოსამსახურეების უზრუნველყოფა რუსეთის ბიუჯეტიდან მოხდება. მათი ხელფასი კი 50 ათასი რუსული რუბლი იქნება", – წერს „Life News"-ი და დასძენს, რომ აღნიშნული ინფორმაცია აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრმა მერაბ ქიშმარიამ დაადასტურა.**

**ამას გარდა, სააგენტოს ინფორმაციით, მერაბ ქიშმარიას ერთ-ერთი მოადგილის თქმით, რუსი სამხედრო მოსამსახურეები უფრო დისციპლინირებულნი არიან, ვიდრე აფხაზები. ისინი უფრო კარგად ემორჩილებიან ბრძანებას და იცავენ სუბორდინაციას.**

## სეპარატისტებმა საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

**ოსმა სეპარატისტებმა ე.წ. სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამსახურის პრესსამსახური ავრცელებს.**

**– საზღვარის დამრღვევთაგან ერთი ახალგორის რაიონის სოფელ წინაგარაში, ხოლო მეორე ზნაურის რაიონის სოფელ ზიულეთში დააკავეს. ორივე მათგანი საქართველოს მოქალაქეა, – იუწყებიან სეპარატისტები.**

**მათივე ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეები ე.წ. სამხრეთ ოსეთის სასაზღვრო სამსახურში გადაიყვანეს. – ამჟამად მიმდინარეობს ღონისძიებები დაკავებულების ვინაობის დასადგენად, – იუწყება ოსური მხარე.**

ХО-ЭОВ-ЭНО

ვითარება

საქართველოში ებრაელი ბიზნესმენების რონი ფუქსის და ზეევ ფრენკელის დაკავების შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები დაიძაბა. ებრაულმა მხარემ დავით ბაქრაძისა და ვერ ქობალიას ვიზიტები გააუქმა.

ებრაელი ბიზნესმენები 2010 წლის ოქტომბერში საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილისთვის ქრთამის შეთავაზების ბრალდებით დააკავეს. 1 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ ორივე მათგანი დამნაშავედ სცნო.

სასამართლომ რონი ფუქსს 7-წლამდე, ხოლო ზეევ ფრენკელს 6-წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

# ალიარებს აფხაზეთს ისრაელი?



– აფხაზეთის შანსები ისრაელში – „საჩუქარი“ სააკაშვილისგან“ – ასეთი სათაურით ისრაელის საინფორმაციო პორტალმა „იზრუსმა“ სტატია გამოაქვეყნა.

– ქართველი პოლიტიკოსები ებრაელი ბიზნესმენების რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის განაჩენს მიესალმებიან. ბიზნეს-ომბუდსმენი გიორგი პერტაია ფიქრობს, რომ ებრაელი ბიზნესმენების გასამართლება „სხვებისთვის მაგალითი იქნება, – წერს გამოცემა.

სტატიაში, ასევე, მოხსენიებულია საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენლის ზაზა ქაჩიბაიას და პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის განცხადებები ფუქსისა და ფრენკელის საქმესთან დაკავშირებით. ებრაელი ბიზნესმენები ბათუმში სწორედ გილაურმა დაპატიჟა. მოგვიანებით კი ისინი სამართალდამცველებმა დააკავეს.

– ნებისმიერი ადამიანი, იქნება ეს ბიზნესმენი თუ ინვესტორი, ვინც სახელმწიფო მოხელის მოსყიდვას შეეცდება, დაისჯება, – აცხადებს გილაური და დასძენს, რომ უმნიშვნელოა, ვისი მიპატიჟებით ჩავა დამნაშავე საქართველოში, პრემიერ-მინისტრისა თუ სხვა სტატუსის მქონე ადამიანის მიერ.

ისრაელში დარწმუნებული არიან, რომ ფუქსის და ფრენკელის საქმე საქართველოს ხელისუფლებამ „შეკერა“, – „იზრუსი“ აღნიშნავს, – ამის მიზეზი კი ის 100 მილიონი დოლარია, რომლის გადახდაც საარბიტრაჟო სასამართლომ საქართველოს ფუქსისა და ფრენკელის სასარგებლოდ დააკისრა.

პრეტენზიები ქართულ მხარესთან უკვე გამოხატა ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა“.

– საქართველოს ხელისუფლებამ ისრაელთან ურთიერთობების გამწვავებით ხელსაყრელი პირობები შეუქმნა აფხაზებს ურთიერთობების განვითარებისთვის. მით უფრო, რომ ისრაელის მიერ ანკარასთან და თეირანთან კონფრონტაციის გამო სოხუმი, შესაძლოა, ოფიციალური იერუსალიმისთვის საინტერესო აღმოჩნდეს, – აღნიშნულია სტატიაში.

ამასთან, ავტორი დასძენს, რომ მარტში ისრაელში ვიზიტით აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის ადმინისტრაციის თანამშრომელთა შვიდკაციანი დელეგაცია იმყოფებოდა. ეს არაოფიციალური ვიზიტი იყო. შეხვედრები იმართებოდა, ძირითადად, ბიზნესმენებთან და ზოგიერთ პარლამენტართან და ამის აფიშირება არ მომხდარა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის მიერ აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებამდე 4 წლით ადრე, სოხუმმა იერუსალიმს ურთიერთობების დამყარების დაინტერესების შესახებ აცნობა.

2004 წელს ვალერი არშბამ ღიად განაცხადა, რომ ისრაელი შესაძლოა გამხდარიყო ქვეყანა, რომელიც აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობას ერთ-ერთი პირველი აღიარებდა.

სერგეი შამბა კი აღნიშნავდა, რომ ისრაელი აფხაზეთისთვის პერსპექტიული მიმართულება იყო – ისრაელში ცხოვრობს ადიღეურ-ჩერქეზული დიასპორის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთანაც კონტაქტი ჩვენთვის მნიშვნელოვანიაო.

ამასთან, გამოცემა აღნიშნავს, რომ ისრაელსა და აფხაზეთს შორის საუბარი მიმდინარეობს უსაფრთხოების საკითხებში გარკვეული თანამშრომლობის დამყარების თაობაზე.

ჩნდება ლოგიკური დასკვნა, – აღნიშნულია სტატიაში, – უსაფრთხოების სფეროში ისრაელისა და აფხაზეთის შესაძლო თანამშრომლობის საკითხის ზომბირება და აფხაზეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლობის ვიზიტი ისრაელში შემთხვევით არ დაემთხვა ოფიციალური იერუსალიმის მიერ საქართველოს ხელისუფლებით უკმაყოფილების საჯარო გამოხატვას.

– არსებობს მოსაზრება, რომ ისრაელი აფხაზეთს ოფიციალურად არ აღიარებს. მოსაზრებას მრავალი არგუმენტი ამყარებს, მათ შორის საქართველოსა და ისრაელს შორის არსებული თბილი ურთიერთობა. თუმცა, ფაქტია, რომ სტატუს კვო შეიცვალა – ისრაელსა და საქართველოს შორის ურთიერთობები დაიძაბა, ხოლო ქართული მხარის მიერ ებრაელი ბიზნესმენების დაკავებამ ურთიერთობები კიდევ უფრო გააფუჭა, – ვკითხულობთ სტატიაში.

სტატიის ავტორი ასკვნის, რომ ისრაელსა და აფხაზეთს შორის თანამშრომლობის დონე იზრდება – ისრაელს აფხაზეთის აღიარების საკითხი ჯერ არ გადაუწყვეტია, თუმცა საქართველოსა და ისრაელს შორის დაძაბული ურთიერთობების ფონზე, აფხაზეთთან ურთიერთობების საკითხი აქტუალური გახდა.

**ნატა ნიბლაძე**

არის წინადადება!

# ვიხსნათ სამშობლო გაყიდვისაგან!

იმისათვის, რომ სამშობლო, მისი ნაწილი მაინც, ვიხსნათ გაყიდვისაგან, იგი ჩვენ თვითონ, სრულიად საქართველოს მოქალაქეებმა უნდა ვიყიდოთ. ჩვენი სამშობლო რომ ჩვენ თვითონვე დაგვრჩეს, დღეისათვის სხვა გზა არ არსებობს, ხვალ შეუძლებელი იქნება გაყიდული სამშობლოს გამოსყიდვა.

საპრივატიზაციოდ გამოტანილია კონკრეტული ობიექტი.

ბოლნისის რაიონის სოფ. დისველთან, მდინარე ხრამის ხეობაში შენდება 5 მგვტ სიმძლავრის, 3,4 მლნ. დოლარის ღირებულების დისველიჰესი. იგი ჩვენმა მოქალაქეებმა უნდა დააფინანსონ, რომ ჰესი მათი საკუთრება გახდეს. მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის მისაღებად ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა ერთ აქციაში უნდა გადაიხადონ 2 ათასი დოლარი. მშენებლობის ხანგრძლივობა 2 წელია. ჰესის ექსპლოატაციაში გადაცემის შემდეგ ერთი აქციის მფლობელი მიიღებს ყოველთიურ მოგებას 35-37 დოლარის ოდენობით, ხოლო აქციის გასაყიდი ღირებულება (გაყიდვის შემთხვევაში) იქნება 3500-4000 დოლარი. ჰესის ბიზნესგეგმა, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და სხვა მახასიათებლები უახლოეს მომავალში დისველიჰესის ვებგვერდზე განთავსდება. საჯაროდ იქნება გამოტანილი ჰესის მშენებლობაზე და ექსპლოატაციის დროს დახარჯული ყველა სიდიდის ფულადი სახსრები და შემოსავლები.

მივმართავთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, ინტელიგენციას, უპირველესად, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, ჰესის მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობით, გარდა იმისა, რომ თქვენ გაგიჩნდებათ მყარი, მუდმივად მზარდი შემოსავლები, გაიზრდება თქვენი დარგით დაინტერესება ახალგაზრდებში, მშენებლობა შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს მატერიალური წარმოების სფეროში.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ანალოგიურ ღონისძიებას გაატარებენ თავიანთ დარგებში სხვა პროფესიონალები და წილობრივი მონაწილეობის მიღება ქვეყნის ეკონომიკის მშენებლობაში გადაიქცევა სახალხო მოძრაობად საკუთარი სამშობლოს შესანარჩუნებლად.

დისველი ჰესის რეკვიზიტები გამოქვეყნდება უახლოეს დროში.

**ნუგზარ კოტბახიძე**

საერთაშორისო სასამართლო

# როდესაც ქვეყნის ინტერესები საფრთხის წინაშე დგას, არ შეიძლება გადაწყვეტილებები არაკომპეტენტურმა ჩინოვნიკმა მიიღოს

(მესამე გვერდიდან)

ეს მაშინ ჩვენთვის დიდი შეღავათი არ იყო. იმავე სასამართლოს გადაწყვეტილებაში ითქვა, რომ ეს გადაწყვეტილება დროებითია, რომ სასამართლო წინასწარ არ განსაზღვრავს, მიიღებდა თუ არა ქართული მხარის სარჩელს არსებითი განხილვისათვის. მას შემდეგ, რაც იმავე სასამართლოს ქართულმა მხარემ კვლავ მიმართა, მისი პასუხი ასეთია – გაეროს საერთაშორისო სასამართლოს საქმის არსებითი განხილვისთვის იურისდიქცია არ აქვს.

**– თქვენ ახსენეთ, რომ ბრალს გვდებენ იმაში, რომ საქართველოს 20 წელი რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი არ შეუტანია. თქვენი შეფასებით, რატომ არ შეიტანა საქართველომ სარჩელი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში?**

– ჩემს არაერთ გამოსვლაში რუსეთი პირდაპირ მყავს დადანაშაულებული საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ აგრესიულ პოლიტიკაში, მაგრამ ელცინს ხელი ჰქონდა მოწერილი ეუთოს ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბოლის სამიტების განცხადებებზე, სადაც აღიარებული იყო აფხაზების მიერ აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდა. დასავლეთს მიაჩნდა, რომ ოფიციალური რუსეთის გარდა არსებობდნენ სხვა ძალები, რომლებიც ამ მხრივ უნდა ყოფილიყვნენ დადანაშაულებული. სარჩელის შეტანა იმიტომ არ მოხდა, რომ იგი ეხება რუსეთის გარეთ მიმდინარე მოვლენებს. რასობრივი დისკრიმინაციის კონვენცია ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვრებში მიმდინარე პროცესებს უკავშირდება. როგორც კი ამ საზღვარების გარეთ გადიხარ, ეს უკვე საერთაშორისო სამართლის სხვა პრობლემაა, რომელსაც რასობრივი დისკრიმინაციის კონვენცია არ ითვალისწინებს. ჩემი შეფასებით, ჩვენს საქმეზე გაეროს საერთაშორისო სასამართლო სავსებით სწორად მოიქცა.

**– როგორ შეაფასებდით გაეროს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარებს? თუ შეიძლება თქვენ მაინც გაგვარკვიეთ რა ახარებს ხელისუფლებას და, საერთოდ, გვაქვს თუ არა ჩვენ საქმე სასიხარულოდ?**

– ძალიან მიმძიმს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ხელისუფლებამ იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ ბურჯალიანს ეს საქმე ერთპიროვნულად მიანდო. ის თავს საერთაშორისო სამართლის დიდ სპეციალისტად კი მიიჩნევს, მაგრამ როგორც ეტყობა სულ ამაოდ. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი საერთაშორისო ასპარეზზე ამ საქმის სპეციალისტების გარეშე პრაქტიკულად ერთ ნაბიჯსაც არ დგამს. ქალბატონ ბურჯალიანს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომუშავე საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისთვის ერთხელ მაინც რომ მოემართა, ჩვენ შექმნილი ვითარებიდან ოპტიმალურ გამოსავალს შევთავაზებდით და, რაც მთავარია, კვალიფიციურ რჩევას მივცემდით.

ხელისუფლება ახლა უხერხულ მდგომარეობაშია. მე ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან ამ საქმეზე ასე ნაჩქარევ კომენტარებს არ გავაკეთებდი. პატივს ვცემ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, მაგრამ მათ კომენტარები ჰააგიდან, ანუ იგივე ბურჯალიანის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე აკეთეს.

სხვათა შორის, როცა სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, მან რუსეთთან მიმართებაში საქმიანობა საკმაოდ გააქტიურა. ზოგი უკიჟინებდა, რომ იგი ურთიერთობას ამწვავებდა. ჩემი აზრით, იმ ვითარებაში, რომელშიც ჩვენ თუნდაც 2008 წლის აგვისტომდე ვიყავით და ახლა ვართ, რუსეთთან სხვაგვარი საუბარი წარმოუდგენელია, თუნდაც ოპოზიციის ზოგიერთი წევრის კრიტიკისა და მოსკოვში სირბილის ფონზე.

**– როგორია ქართული მხარის სარჩელზე გაეროს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგები?**

– საწყენი ის არის, თუ რას და როგორ დამცინავად წერს მომხდარზე უცხოური პრესა. სხვათა შორის, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე უფრო თავშეკავებული შეფასებები რუსულ პრესაშია. კრიტიკის მიუხედავად, ჩემი აზრით, ტრაგიკული არაფერი მომხდარა. ეს პროცედურული საკითხია. სასამართლომ საქმე არსებითი განხილვისათვის წარმოებაში არ მიიღო, რადგან საქართველომ არ შეასრულა ის პირობები, რომელიც გათვალისწინებულია იმ კონვენციით, რომლის ძალითაც ჩვენ შევეცადეთ სასამართლოში რუსეთის მოყვანას.

მომავალში სასამართლოში რუსეთის მიყვანა შეიძლება ორი გზით – ეს პროცესი უნდა დაიწყოს რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტში, სადაც ამ საკითხის განხილვა სულ მცირე 2 წელი გაგრძელდება; თუ ამ კომიტეტში შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, მერე შეიძლება მიმართო სასამართლოს. მეორე ვარიანტია, მიმართო სასამართლოს, მაგრამ სასამართლო იტყვის: კი ბატონო, ჰუმანიტარული სამართალი დარღვეულია, მე ამ საკითხს განვიხილავ, მაგრამ ამისათვის რუსეთის თანხმობაა საჭირო. რუსეთის პასუხი ასეთი იქნება – ამაზე მე თქვენ თანხმობას არ მოგცემთ. ეს არის ის ნიუანსები, რომელიც საქართველომ არ გაითვალისწინა.

საქართველოს პრეზიდენტი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია და არ მახსოვს, რომ მსგავსი შეცდომა დაეშვა. პირიქით, როცა საჭიროა, ამას ყოველთვის არგუმენტირებულად აკეთებს. გაუგებარია, როდესაც ხელქვეითმა წინასწარ იცის, რომ რისკი არსებობს, მაგრამ მაინც ძვირადღირებულ ადვოკატებს ქირაობს. ჩვენი მხარის მიერ დაქირავებული ადვოკატების პროფესიონალიზმში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ არის სიტუაციები, როდესაც მაღალკვალიფიციური ადვოკატიც უძლურია.

მე იშვიათად ვაკეთებ ასეთ განცხადებებს, მაგრამ ახლა უნდა ვთქვა. როდესაც ქვეყნის ინტერესები საფრთხის წინაშე დგას, არ შეიძლება გადაწყვეტილებები არაკომპეტენტურმა ჩინოვნიკმა მიიღოს. სასამართლომ პროცედურული გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ამ საკითხის იქამდე გაბერვა შეიძლება, რომ მერე ქვეყნის მტერმაც და მოყვარემაც თქვას – აი, ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხზე საქართველომ გაეროს საერთაშორისო სასამართლოში საქმე წააგო.

**კობა ბენდელიანი**

ვითარება

# „უნიქარდის“ ვენეციელობა და „ავერსის“ მამლუქობა

***პლასტიკური ბარათები სულ უფრო მეტად შემოდის თითოეული ჩვენი მოქალაქის ცხოვრებაში და თანდათან სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ყოველდღიურ ყოფაში. სხვადასხვა ფირმის აფთიაქებში, სამკაულების თუ პარფიუმერიის სალონებში, აგრეთვე სასურსათო თუ საყოფაცხოვრებო მაღაზიებში ათასნაირი დაგროვებითი ბარათები მოქმედებს მუდმივი მყიდველებისთვის, რომლებიც ძირითადად ამ ქსელის სავაჭრო ობიექტების მომსახურებით სარგებლობენ და გარკვეული „ჩასათვლელი“ ქულების დაგროვების შემდეგ სხვადასხვა საჩუქრებს, ზოგჯერ საკმაოდ ძვირიანსაც იღებენ. როგორც ვთქვით, სოლიდური ქსელების უმრავლესობა (მაგალითად, „პოპული“, „გუდვილი“ და სხვები) თავიანთ მუდმივ მომხმარებლებს მხოლოდ თავისივე ფირმის პლასტიკურ ბარათებს „უთვლის“, სხვებს კი არ იღებს. მაგრამ საქართველოში არის ერთი უნიკალური ბარათი, რომელსაც მრავალი სოლიდური, მსხვილი ფირმა აღიარებს და რომლის ბარათზე ქულებს მრავალ სხვადასხვა სავაჭრო ობიექტში რიცხავენ. ასეთია „უნიქარდი“, რომელსაც საქართველოში კარგად იცნობენ და საკმაოდ მრავალრიცხოვანი მომხმარებელი ჰყავს.***

ზოგადად რომ ვთქვათ „უნიქარდის“ პლასტიკურ ბარათზე ქულების დაგროვება იმ სავაჭრო ობიექტებში განხორციელებული შესყიდვით შეგიძლიათ, სადაც „უნიქარდ შოპ-ენდ ბონუსის“ ემბლემაა განთავსებული. უნდა აღინიშნოს, რომ „უნიქარდი“ საცალო ვაჭრობის ფაქტობრივად ყველა მიმართულების ფირმასთან თანამშრომლობს, რომლებსაც თავიანთ სეგმენტებში წამყვანი პოზიციები უკავიათ.

სადღეისოდ საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის ერთ-ერთი მსხვილი კომპანია, რომელსაც PSP-სა და GPI-თან ერთად დომინანტი პოზიცია უკავია, „ავერსია“, თავისი 102 სადღეღამისო აფთიაქით. თითქმის ერთი წელია, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ თბილისის მერიის დაფინანსებით, ქართველ ჟურნალისტთა დიდი ჯგუფი სადაზღვევო კომპანია „ალფაში“ დაგვაზღვია, რომელმაც, თავის მხრივ, ხელშეკრულება კომპანია „ავერსს“ გაუფორმა. მას შემდეგ მოყოლებული, ვიდრე წლის მიწურულამდე, დაზღვეული ჟურნალისტები როგორც „ავერსის“ კლინიკის ზოგიერთი სა-




ხეობის სამედიცინო მომსახურებით ვსარგებლობთ უფასოდ, ასევე მისი ქსელის აფთიაქებში წამლების ყიდვისას, მართალია არცთუ მნიშვნელოვანი (9-დან 14 პროცენტამდე, პრეპარატის წარმომავლობას გააჩნია), მაგრამ მაინც შეღავათებით ვსარგებლობთ.

იმათ კი, ვინც „უნიქარდის“ დაგროვებითი ბარათის მფლობელია, ცხადია, „ავერსში“ წამლის ყიდვისას შესაბამისი ქულები უნდა ერიცხებოდეს, მაგრამ... ნურას უკაცრავად: როგორც „ავერსში“ განმიცხადეს, „**შეღავათიანად ნაყიდ წამლებზე „უნიქარდის“ ქულები არ დაიწერება“.** ლოგიკურ კითხვაზე, თუ „ვისი ხუშტურია ასეთი მოურიდებელი და აბუჩად ამგდები დადგენილება“, მორიდებით მიპასუხეს – ჩვენი ხელმძღვანელებისაო...

სიმართლე გითხრათ, არც მაშინ მჯეროდა და არც ახლა მჯერა, რომ „ავერსის“ თავკაცები „უნიქარდის“ „ქისას“ ასე უფრთხილდებოდნენ, „კუდები ერთმანეთზე თუ არა აქვთ გადაბმული“. წინაალმდეგ შემთხვევაში ვეჭვობ, ვინმემ შეძლოს იმის ახსნა, თუ რატომ ამბობს უარს „ავერსი“ კლიენტებზე „უნიქარდის“ გამო? თანაც იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ „უნიქარდის“ რამდენადმე ფასეული საჩუქრის (მაგალითად, ბოლო მოდელის მობილურ ტელეფონს) იმდენი ქულის დაგროვება სჭირდება, რომ საშუალო რანგის მყიდველი მათ დაგროვებას სულ მცირე 2-3 წელს მოანდომებს?!

ამას იმიტომ ვამბობ, რომ **„ავერსის“ აფთიაქთა ქსელში შეძენილი წამლების საფასურის ყოველ 10 ლარში „უნიქარდის“ ბარათზე მყიდველს 2 ქულა ერიცხება.** ამასთან, რამდენადაც მკითხველს მოეხსენება, თუ დღესდღეობით მომხმარებელმა „ავერსის“ აფთიაქში, ვთქვათ, 10 ლარის მედიკამენტი შეიძინა „უნიქარდის“ გარეშე, მას 30-პროცენტიანი შეღავათი ეკუთვნის, რადგან ეს ქსელში პიარკამპანიის ერთ-ერთი მდგენელი ნაწილია. მაშასადამე, მომხმარებელს ამ შემთხვევაში 7 ლარის გადახდა მოუწევს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი იგი „უნიქარდზე“ ქულების შევსებას დააპირებს, მას, ჯერ ერთი, არა 7 ლარის, არამედ 8,5 ლარის გადახდა მოუწევს (30-პროცენტიანი შეღავათის ნახევარი), ხოლო დაგროვებით ბარათზე 40 ქულა დაეწერება (ყოველ 10 ლარზე გაორმაგებული ბონუსი 4 ქულა).

საქმე ის არის, რომ ბოლო დროს, თბილისის ზოგიერთ უბანში (კერძოდ, მის გარეუბნებში – მუხიანში, გლდანში, ავჭალასა და თემქაში) განთავსებულ „ავერსის“ აფთიაქებში შესაძლებელია 10 ლარზე არა 2-ის, არამედ გაორმაგებულად, 4 ქულის მიღება. „ავერსის“ ახალი პიარაქციის ფარგლებში მოსახლეობა ამ შინაარსის ესემესს იღებს: **„პირველად საათიაქო ქსელში სპეციალური ფასდაკლება „ავერსში“ და გაორმაგებული ქულები „უნიქარდზე“!** ფასდაკლებათა და ორმაგი ქულებით მიზიდული მომხმარებელი ხშირ შემთხვევაში სხვა ფირმების აფთიაქებს გვერდს უვლის, „ავერსში“ მიდის და „უნიქარდის“ ბარათის გამოყენებით... რეალურად წაგებული რჩება.

**სიმართლე გითხრათ, თუ რომელია ამ შემთხვევაში უფრო დამნაშავე, ამის გარკვევა თვალის ერთი გადავლებით ადვილი არ არის, მაგრამ, პირადად ჩემი აზრით, არც ერთია მამლუქი, და არც მეორე ვენეციელი: მომხმარებლისთვის სარეკლამო კამპანიის პირობების სრული მოცულობით მიუწოდებლობაში, ვფიქრობ, არც „უნიქარდია“ მართალი და არც „ავერსი“, თუმცა ეს უკანასკნელი მაინც, უფრო ჩანს დამნაშავე.**

**ოთარ ტურაბელიძე**

ერიჯა!

# რა ზღაპარი მოჰყვება „ეკონომიკურ უსინდისობას“?

## კიდევ ერთი ქართული ენერგოობიექტი რუსეთის ხელში აღმოჩნდება

**საქართველოს მთავრობა რუსულ „ინტერ რაო ეესს“ კიდევ ერთ ენერგეტიკულ აქტივს უთმობს. „ჯი-ეიჩ-ენის“ ინფორმაციით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სს „ხრამი-2“-ის აქციათა 100%-ის მფლობელი ჰოლანდიაში რეგისტრირებული Gardabani Holdings B.V. გახდება. სააგენტოსთვის ცნობილი გახდა, რომ მთავრობას ხელშეკრულების პროექტი უკვე მზად აქვს და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი აქტივის დათმობის შესახებ ოფიციალურ განცხადებას მომავალ კვირაში გააკეთებს.**

ამ გარიგებაში საინტერესო ისაა, რომ ჰოლანდიაში რეგისტრირებული კომპანია Gardabani Holdings B.V.-ის აქტივების 100%-ს რუსეთის სახელმწიფო კომპანია „ინტერ რაო ეესი“ მართავს. **ამ უკანასკნელის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე კი რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის მოადგილე იგორ სეჩინია.**

„ჯი-ეიჩ-ენისთვის“ ცნობილი ხდება, რომ გარიგების თანახმად, რუსეთის სახელმწიფო კომპანია Gardabani Holdings B.V.-ის სახით სს „ხრამი-2“-ის აქციათა 100%-ში 44 მლნ. დოლარს გადაიხდის.

საპრივატიზაციო პირობების თანახმად, Gardabani Holdings B.V. ვალდებულია, ნასყიდობის თარიღიდან 2031 წლის 1 იანვრამდე, უზრუნველყოს სს „ხრამი-2“-ის ჰიდროელექტროსადგურის იმ



მუშა სიმძლავრის არანაკლებ 85%-ის შენარჩუნება, რომელიც პრივატიზების ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის აქვს.

იმავდროულად, მყიდველს უფლება აქვს, გეგმიურ რემონტზე ერთდროულად დააყენოს ჰიდროელექტროსადგურის მხოლოდ ერთი აგრეგატი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აგრეგატის რემონტი გამოწვეულია ავარიით, ან მყიდველს მიღებული აქვს თანხმობა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტისგან.

**საპრივატიზაციო პირობების თანახმად, Gardabani Holdings B.V.-მა საპრივატიზებო საფასური, 44 მლნ. აშშ დოლარი, 2011 წლის 15 ოქტომბრამდე უნდა გადაიხადოს.**

საინტერესოა ისიც, რომ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი და მისი მეგობარი, ყოფილი ენერგეტიკის მინისტრი და ამჟამად ქვეყნის პრემიერი, უკანასკნელი წლებია მხოლოდ ენერგეტიკული მიღწევებით ამაყობენ და სულ ახლახან პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის სიჭარბესა და მის ექსპორტზე ისეთი შემართებით საუბრობდნენ, რომ ვერავინ იფიქრებდა, რომელიმე ენერგეტიკული ობიექტის გაყიდვის აუცილებლობა თუ არსებობდა, მით უფრო „ხრამჰესი 2-ის“, რომლის რეაბილიტაციის პროცესი ჯერ კიდევ 1996 წელს დაიწყო და რომლის განსახორციელებლადაც სახელმწიფოს იაპონიის მთავრობამ 50 მლნ ლარის მიზნობრივი სესხი გამოუყო.

აღსანიშნავია, რომ „ხრამი 2“ ენერგოჰოლდინგ „ინტერ რაო ეეს-ის“ დროებით მართვაში 2006 წლიდან იყოფება. ამის შემდეგ საქართველოს მთავრობამ დამატებით 10,8 მლნ ლარი გამოყო. ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოს შედეგად ჰიდროელექტროსადგურის ერთი ტურბინა-გენერატორი სრული დატვირთვით 2008 წლიდან ამოქმედდა.

**არადა, 2006 წელს, როდესაც „ხრამი 2“-ი „ინტერ რაო ეეს-ის“ დროებით მართვაში გადავიდა, ხელისუფლება გვარწმუნებდა, – კი არ მივყიდეთ, მართვაში გადავეცით და ამ სტრატეგიულ ობიექტს არ გავყიდითო .**

ჰიდროელექტროსადგურის ერთი ტურბინა-გენერატორი სრული დატვირთვით 2008 წლიდან ამოქმედდა. მეორე გენერატორის სარეაბილიტაციოდ დამატებითი ინვესტიცია „ინტერ რაო ეესმა“ 5 მლნ ლარის ოდენობით გაიღო.

2010 წელს კი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ განაცხადა, რომ 12-წლიანი შესვენების შემდეგ ჰიდროელექტროსადგური „ხრამი-2“ სრული დატვირთვით ამუშავდა.

**„ჰიდროელექტროსადგურზე, რომლის ორი აგრეგატი ერთობლივ რეჟიმში 1998 წლის შემდეგ პირველად ამუშავდა, კაპიტალური სარემონტო სამუშაო განხორციელდა. დამონტაჟდა მოდერნიზებული იტალიური ტურბინები. სადგურის სადერივაციო მილსადენების სფერული ჩამკეტები საქართველოში ანალოგის არმქონე ჰაერზეთოვანი ზედდამწნევი მოწყობილობით აღიჭურვა, რომლის საშუალებითაც ტურბინა-გენერატორების ექსპლუატაცია სრულიად უსაფრთხო გახდა. SIEMENS-ის ფირმის თანამედროვე ელექტრომოწყობილობების სისტემების დანერგვით სადგურის მართვა მთლიანად კომპიუტერებულია. დამონტაჟდა ახალი მართვის ფარი, რის შედეგადაც ჰიდროელექტროსადგურის ოპერირების ხარისხი მნიშვნელოვნად გაიზარდა. სარეაბილიტაციო სამუშაოს დასრულების შემდეგ „ხრამჰესი-2-ის“ ელექტროენერგეტიკული მაჩვენებლები გაუმჯობესდა. ჰიდროელექტროსადგურის 2 ტურბინა გენერატორის საპროექტო დადგმული სიმძლავრე, რომელიც 110 მგვტ/სთ-ს შეადგენდა, 120 მგვტ/სთ-მდე გაიზარდა. შედეგად, სადგურის წლიური გამომუშავების ჯამური ენერგია 370 მლნ კვტ/სთ-ს მიაღწევს. „ხრამი 1“ და „ხრამი 2“ ჰიდროელექტროსადგურების ჯამური გამომუშავება კი 650 მლნ კვტ/სთ-ს შეადგენს, რაც თბილისის მიერ წლიურად მოხმარებული ელექტროენერგიის მესამედია“,** – ასეთი იყო 2010 წელს ენერგეტიკის სამინისტროს ოფიციალური განცხადება.

სამინისტრო ასევე იტყობინებოდა, რომ „ხრამი-2-ს“ რეკონსტრუქციის II ეტაპი, 5-წლიანი საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში 2011 წელს დაიწყებოდა, რაც კომპანიის 220/110 კილოვოლტიანი ღია გამანაწილებელი ქვესადგურის რაბილიტაციასა და ჰიდროელექტროსადგურის ექსტერიერისა და ინტერიერის კაპიტალურ განახლებას მოიცავს. **„მაღალი ძაბვის ელექტროგამანაწილებელი მოწყობილობების მოდერნიზებისა და სამშენებლო სამუშაოების წარმართვის მიზნით „ინტერრაოეესი“ კიდევ 5,5 მლნ ლარის ინვესტიციას განახორციელებს“,** – იტყობინებოდა სამინისტრო.

მმართველი კომპანიის წარმატებულობაზე კი სამინისტრო იტყობინებოდა, რომ ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის მიზნით გამოყოფილ მიზნობრივ სახელმწიფო სესხს ს.ს. „ხრამი-2“ უკვე 2009 წლიდან ემსახურება.“ **წარმატებული მართვის შედეგად, საერთო ჯამში გამოყოფილი 60 მლნ ლარის სესხიდან კომპანიას ამჟამად 10 მლნ ლარი უკვე გასტუმრებული აქვს“.**

საინტერესოა, რა არგუმენტი დასახელდება მისი გაყიდვის გასამართლებლად? **წარმატებული კომპანიის გაყიდვა, როგორც ამას სამინისტროს ოფიციალური განცხადებიდან ვიგებთ, რატომღაა ხელისუფლებისთვის ხელსაყრელი?** იქნებ ჯერ კიდევ 2006 წელს იყო გადაწყვეტილი ეს ფინალი?

დაველოდოთ, მთავრობა მომავალ კვირას სხვა ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ამ მნიშვნელოვან საკითხს მოკრძალებულად შემოგვაპარებს, თანაც ისე, რომ აქცენტი მხოლოდ ჰოლანდიურ კომპანიაზე გაკეთდება. თუმცა დაველოდოთ, იქნებ ეყოს ვინმეს გამბედაობა და ღიად თქვას, „ხრამი-2“ რუსეთს მივყიდეთო, ოღონდ ამის გასასამართლებლად იმას ნუ დაიწყებენ, „ყველას გახსოვთ, უშუქობა, უგაზობა...“ და ახლა გვაქვსო.

დიახ, გვახსოვს, მაგრამ მაშინ მოხმარებული ენერგიის საფასურს არავინ იხდიდა. ახლა მამასისხლად მოწოდებულ გაზისა და ელექტროენერგიის ფულს ყველა იხდის და კიდევ ამის დამადლება, რბილად რომ ვთქვათ, „ეკონომიკური უსინდისობაა“.

ეს ტერმინი გამოვიყენე, რადგან პარლამენტში „პოლიტიკური უსინდისობა“ ისე განმარტეს, რომ ეს თურმე პიროვნულ შეურაცხყოფას არ ნიშნავს. ჰოდა, თუ პოლიტიკური არ ნიშნავს, არა მგონია, მსაზღვრელად ეკონომიკურის გამოყენება, ვინმეს პიროვნულ შეურაცხყოფას აყენებდეს.

**მაშ ასე, დაველოდოთ, სადამდე მივა ეს „ეკონომიკური უსინდისობა“ და რა ზღაპარს მოგვიყვებიან.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

ვინც არ იცის

# მოვუსმინოთ... ქვების სიმღერას

**მეცნიერების ახალი დარგი არქეაკუსტიკა სულ რამდენიმე წლის წინათ, ჩვენი საუკუნის დასაწყისში შეიქმნა და მაშინვე სამეცნიერო წრეებისა (და საზოგადოების) ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.**

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ჩატარებული მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით დადგინდა, რომ ადრეული ხანის ადამიანები წარწერებს, ნახატებს თუ საკულტო ნაგებობებს გარკვეული კანონზომიერებით ქმნიდნენ – ბუნებრივი გარემოს ადგილმდებარეობის ბგერითი ეფექტის გათვალისწინებით.

ესპანეთისა და საფრანგეთის ცნობილი მღვიმეების კედლებზე ხშირად პოულობდნენ ე. წ. წითელ წერტილებს, რომელთა მნიშვნელობა სპეციალისტებისთვის გაუგებარი იყო. თანამედროვე აკუსტიკურმა გამოკვლევებმა დაადასტურა ამ წერტილებში ექოს არეკვლის სიძლიერე და გავრცელება, ანუ ე. წ. ბგერითი ბილიკი. მათი რეზონანსული მოვლენები თვალში საცემი გახდა თვით ხელსაწყოების გარეშე. კალიფორნიის შტატში ნაპოვნია ქვების გროვები გაუგებარი ნიშნებით. სხვადასხვა სიძლიერის დარტყმის შედეგად ქვები წარმოქმნიან გამოკვეთილ მუსიკალურ ბგერებს. ასეთი მომღერალი ქვები აღწერილი იქნა ასევე შოტლანდიაში, საფრანგეთში და აფრიკის ზოგიერთ რაიონში.

მაიას ტომის მიერ შექმნილი მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება – საფეხურებიანი პირამიდა ჩეჩენ-იტცა (მექსიკა) უძლიერესი რეზონანსული მოვლენების ადგილი აღმოჩნდა. ნაგებობა საოცარ ბგერებს გამოსცემს, განსაკუთრებით კი 21 მარტსა და 21 სექტემბერს – მზის ჩასვლისას.

ინგლისელი მეცნიერების ერთმა ჯგუფმა გამოიკვლია ცნობილი სტონხენჯის აკუსტიკა, სადაც ბგერების მაქსიმალური კონცენტრირება ხდება ლოდების მიერ შექმნილი რკალის ცენტრში. აქ აღმოჩენილი ნიშნულებიც ალბათ ქურუმების ან მომღერლების (მუსიკოსების) ადგილსამყოფელზე მიგვანიშნებენ. ამავე მეცნიერებმა გამოიკვლიეს შოტლანდიის მღვიმეების აკუსტიკური თვისებები. ხელსაწყოებმა დააფიქსირეს 95- 120 ჰერცის ბგერის სიხშირე (განსაკუთრებული სიძლიერის ბგერები კი მიღებულია 110-112 ბგერის სიხშირეზე), რაც შეესაბამება მოზრდილი მამაკაცის ბარიტონის ხმის დიაპაზონს.

გამოდის, რომ უძველესი დროის ადამიანები სხვადასხვა საკულტო თუ სარიტუალო ადგილების შერჩევისას და ნაგებობათა აშენებისას ადამიანის ხმის გაძლიერების მიზნით ითვალისწინებდნენ ადგილის, შენობის აკუსტიკურ თვისებებს, რაც ალბათ საკმაოდ ღრმა შთაბეჭდილებასა და ძლიერ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა იქ თავმოყრილ ხალხმრავალ აუდიტორიაზე (ხოლო ჩეჩენ-იტცას მაგალითი გვიჩვენებს, რომ ასტრონომიულ დროს და მზის მდებარეობასაც არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამჟამად უდიდესი ყურადღება ექცევა შენობების აკუსტიკური თვისებების დაცვას და შენარჩუნებას, რადგან **იუნესკოს დადგენილების თანახმად უნიკალურ შენობათა აკუსტიკური თვისებების დაცვა თავისი სტატუსით გათანაბრებულია და ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც უნიკალური არქიტექტორული ძეგლების დაცვა.**

ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნება, თუ მსგავსი აკუსტიკური გამოკვლევები ჩატარდება ჩვენს კლდეში ნაგებ ქალაქებს, ისტორიულ ნაგებობებს, სამონასტრო კომპლექსებს – ტაძრებსა და ეკლესიებს. მით უმეტეს ამ ფართოდ გაშლილი ეკლესია-მონასტრების მშენებლობათა სარეკონსტრუქციო სამუშაოების პერიოდში. ამიტომ აუცილებლად **მიგვაჩნია მათი აკუსტიკური თვისებების შესწავლა, დაცვა და შენარჩუნება. ასევე გარემოს, ადგილმდებარეობის აკუსტიკური თვისებების შესწავლა და გათვალისწინება.**

დღეს მსოფლიოში განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან საქვეყნოდ ცნობილი საკონცერტო დარბაზებისა და საოპერო თეატრების აკუსტიკური მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნების საქმეს, რომელთა რეკონსტრუქციის დაწყებისას ჯერ ხდება შენობათა აკუსტიკური კომპიუტერული მოდელების წინასწარ დამუშავება და მხოლოდ მის საფუძველზე, ტარდება შემდეგ სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ამ მიზნით დიდ ქალაქებში შექმნილია ქალაქის მემკვიდრეობის დაცვის კომიტეტები, რომლებიც ხელისუფლებასთან ერთად მუდმივ კონტროლს უწევენ ქალაქში მიმდინარე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. ასეთივე, მკაცრი ზედამხედველობა და მუდმივი მონიტორინგი უნდა დაწესდეს ნებისმიერი სახის მშენებლობაზე, რესტავრაციაზე, აღდგენისა თუ სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით.

2010 წელს დაიწყო მაგალითად მოსკოვის კონსერვატორიის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომლის ზოგიერთი დარბაზის (დიდი, პატარა, რახმანინოვის და ა. შ.) აკუსტიკური კომპიუტერული მოდელები 3 წლით ადრე დამუშავდა. საკითხავია, გვაქვს თუ არა დამუშავებული, მაგალითად: თბილისის სახელმწიფო ოპერისა და თეატრის (კონსერვატორიის, ფილარმონიის და სხვა) შენობათა აკუსტიკური კომპიუტერული მოდელები, რომლის საფუძველზეც ტარდება დღეს თანამედროვე, მსოფლიოში საკონცერტო დარბაზების სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

**მედეა თავდიშვილი**

წარუშლელი კვალი

# დიდი ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა

## გუდაურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფუძემდებლის სოლიკო ხაბეიშვილის უკვდავება



როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში საფუძველი ჩაეყარა დიდი ეროვნული მნიშვნელობის მოვლენას – დაბა გუდაურში აშენდა თანამედროვე, საერთაშორისო მნიშვნელობის სამთო-სათხილამურო სპორტული კომპლექსი, რომელიც დღითიდღე ვითარდება და მშვენიერდება.

წლების განმავლობაში აქ ტარდებოდა მაღალი რანგის სპორტული პაექრობები სამთო-სათხილამურო სპორტში, მათ შორის 1989 წლის ევროპის თასი ქალებისათვის, ბევრი სხვა საერთაშორისო შეჯიბრება. გუდაური გახდა თბილისელების და უამრავი უცხოელი ტურისტის საყვარელი დასასვენებელი ადგილი.

ამავდროულად, ძირეულად შეიცვალა მთელი რეგიონის მოსახლეობის ყოფაც – ადამიანები დასაქმდნენ, გაუჩნდათ საკუთარი ბიზნესი, ადგილობრივ სკოლაში მათი ბავშვებისათვის შესაძლებელი გახდა კარგი განათლების მიღება, ოლიმპიურ თამაშებსა თუ სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებზე გამოჩნდნენ ახალგაზრდა სპორტსმენები გუდაურიდან, რომლებიც ღირსეულად იცავენ ჩვენი ქვეყნის ღირსებას.

ყოველივე ამის სულისჩამდგმელი გახლდათ ცნობილი საზოგადო მოღვაწე სოლიკო ხაბეიშვილი, რომელმაც წინასწარ განჭვრიტა იდეის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და არ დაიშურა ძალისხმევა მის განსახორციელებლად.

ბ-ნი სოლიკოს ხსოვნის უკვდავსაყოფად, გუდაურში დაიდგა მისი ბიუსტი, ტრადიციულად ტარდება ვეტერან მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება – „სოლიკო ხაბეიშვილის მემორიალი“, ეწყობა შეკრებები, სადაც მონაწილეები იხსენებენ ამ დიდი პიროვნების ცხოვრების გზას, მის ღვაწლს ქვეყნის წინაშე.

ბ-ნი სოლიკოს მოქალაქეობრივი მოღვაწეობით აღფრთოვანებულმა იტალიის ელჩმა საქართველოში ბ-მა მიქელანჯელო პიპანმა მისი ხსოვნის პატივსაცემად დააწესა გარდამავალი თასი მემორიალში გამარჯვებულისთვის. ერთ-ერთ შეკრებაზე მან აღნიშნა, რომ ასეთი მოქალაქეობრივი ქმედება მისაბაძია არა მარტო საქართველოსთვის. ნიშანდობლივია, რომ ეს აზრი გახლავთ ადამიანისა, რომლის ქვეყანაში მოქალაქეობრივი მოვალეობა და ქველმოქმედება არ არის უცხო.

ბ-ნ სოლიკო ხაბეიშვილის გახსენების ღონისძიებებს ტრადიციულად უზრუნველყოფს სასტუმრო „გუდაური“. დაბა გუდაურის მადლიერი საზოგადოებაც არ ივიწყებს მის ღვაწლს და, ბოლო წლებში, ამ ღონისძიებების თანასპონსორად გვევლინება. ჩვენ, ბ-ნი სოლიკოს ოჯახის წევრები, მისი ახლობლები და მეგობრები, დიდ მადლობას ვუხდით ამ ადამიანებს და გვინდა, მათი ვინაობა ცნობილი გავხადოთ ფართო საზოგადოებისთვის.

სპორტული სკოლები: **ანზორ ხვედელიძე** (Ski Niki), **დათო ჯაფარიძე** (Abu), **პაატა კანკავა** (Snow House), **ოთარ ფავლენიშვილი** („ფავლენები“), **დიმა თოფურიძე** („დიმები“), **ლევან ლორთქიფანიძე** („მთის სკოლა“).

სასტუმროები: **გიორგი მერკვილაძე** („გუდაური“), **ნანა გველებიანი** („თრუსო“), **გია აფაქიძე** („ალპინ ჰათი“), **ლადო უგრეხელიძე** („პანორამა“), **გიული ჯანაშია** („ოზონი“), **ვასილ ჯავრიშვილი** („თონი“), **გენადი წიკლაური** („ფრირაიდერი“), **გელა ბურდული** („შამო“), **რეზო ზუკაკიშვილი** („რეზოს ხიჟინა“), **მარინა სამხარაძე** („შელე“),

სხვა დაწესებულებები: **ჯემალ გაგაძე** („გაგიეთი“), **გიორგი ქუშაშვილი** („ხრეკი“), **მამუკა ბურდული** (მოგზაური“), **ნინო ბუჩუკური** („მარკეტი“).

კერძო პირები: **ვახტანგ მიქელაძე, გივი ღოღობერიძე.**



ბრუნდება 37 წელი?

# რას მოემსახურება შსს ახალი კომისია...

**ქვეყნის** უსაფრთხოების და დემოკრატიული განვითარების უზრუნველსაყოფად შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალური კომისია უნდა შეიქმნას. აღნიშნულის შესახებ საუბარია „თავისუფლების ქარტიის“ პროექტში, რომელსაც პარლამენტი მესამე მოსმენით მიმდინარე თვეს დაამტკიცებს.

კანონპროექტის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის 308-3311 მუხლებით (საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა; ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება) გათვალისწინებული სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულებების პრევენციის მიზნით, ქვეყნის უსაფრთხოების და დემოკრატიული განვითარების უზრუნველსაყოფად, ყოფილი სსრკ-ს სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლების, ამ კანონით დადგენილი თანამდებობის პირების რეგისტრაციის, ნებაყოფლობითი აღიარებისა და რეესტრის წარმოების, ასევე საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიის და პროპაგანდის აკრძალვის მიზნით და ამ კანონით განსაზღვრული სხვა მიზნებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში იქმნება კომისია. კომისიაში თითო წევრის წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტის ფრაქციებს. კომისიის შემადგენლობა (გარდა საქართველოს პარლამენტის ფრაქციების მიერ წარდგენილი წევრებისა) და საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

კომისიის წევრებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული უნდა ჰქონდეთ დაშვება სახელმწიფო საიდუმლოებასთან პირველი (განსაკუთრებული მნიშვნელობის) ფორმით.

ამასთან, კომისია დადგენილი წესით აგროვებს მონაცემებს და აწარმოებს შესაბამის რეესტრს იმ პირთა შესახებ, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ სპეცსამსახურებთან ან რომელთა მიმართაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მიღებული მონაცემები მიუთითებს მათ ფარულ კავშირზე უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან, ასევე აგროვებს ინფორმაციას საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკის, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების და მოედნების დასახელებების თუ სხვა საჯარო თავშეყრის ადგილების შესახებ, რომლებიც მოიცავენ საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიის და პროპაგანდის ელემენტებს თუ მათი იდეოლოგიის ლიდერთა სახელწოდებებს.

კომისია საჯაროდ აცხადებს მხოლოდ იმ პირთა ვინაობას და მონაცემებს, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ან ფარულ კავშირში იყვნენ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან, უკავიათ ამ კანონით აკრძალული თანამდებობა და ნებაყოფლობით არ განაცხადებენ უარს თანამდებობაზე კანონით დადგენილ ვადაში და კომისია გადაწყვეტილებებს იღებს დახურულ სხდომაზე, რომელზეც „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი წესით მოწვეული უნდა იყოს პირი, რომლის შესახებაც მიიღება გადაწყვეტილება.

კომისიის გადაწყვეტილება ძალაში შედის მიღებიდან ერთ თვეში და პირი, რომელსაც შეეხება გადაწყვეტილება, უფლებამოსილია გაასაჩივროს იგი სასამართლოში, სადაც სარჩელის მიღება აჩერებს კომისიის გადაწყვეტილების მოქმედებას.

ХО-ЭОВ-ЭБО

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# დაპირისპირებათა მიჯნა

## აფხაზეთის მონაკვეთი მოსკოვს, შეიძლება, ოლიმპიადის უსაფრთხოებისთვის დასჭირდეს

**„აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის ფორუმმა" ამ დღეებში გაავრცელა განცხადება, რომელშიც რესპუბლიკის ხელისუფლებისგან მოითხოვა „არ დაუთმოს რუსეთს მიწის არც ერთი მეტრი". რეაქცია გამოიწვია სოხუმისა და მოსკოვის მოლაპარაკებამ სახელმწიფოთაშორისი საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხებთან დაკავშირებით. გაჟონილი ინფორმაციის თანახმად, რუსეთს პრეტენზია აქვს მდინარე ფსოუს გასწვრივ 160 კილომეტრის ტერიტორიაზე აიბგას მიჯნასთან აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთში. ასეთი ინტერესი შეიძლება მოდიოდეს რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის განკარგულებიდან: უზრუნველყოფილ იქნეს ოლიმპიადის მაქსიმალური უსაფრთხოებები სოჭში.**

მოლაპარაკების საიდუმლოება, როგორც წესი, ბადებს ხმებს. აფხაზეთის ოპოზიცია ამ დღეებში საუბრობს მოსკოვის განზრახვაზე „ხელში ჩაიგდოს გაგრის რაიონის დიდი ნაწილი". სოხუმის გაზეთმა „ნოვი დენ" ეჭვი შეიტანა, რომ მიწის ნაკვეთის წართმევის თვალსაზრისით, აქ ფიგურირებს სახელგანთქმული რიწის ტბის მიდამოები, სადაც სოჭის ოლიმპიადის სტუმრების გართობისთვის აიგება ახალი „ლას-ვეგასი". აფხაზეთის ხელისუფლება სიამოვნებით როდი აკეთებს კომენტარს სიტუაციასთან დაკავშირებით. „არ არის საჭირო მოვლენათა დაჩქარება და შემაშფოთებელი ცნობების გამოქვეყნება. არაფერია გადაწყვეტილი, მიმდინარეობს მოლაპარაკების პროცესი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ორივე მხარის ინტერესები ისე, როგორც ეს მიღებულია სტრატეგიულ მოკავშირეებს შორის", – უთხრა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა, რომელმაც ამავე დროს განმარტა აფხაზეთის ინტერესები: საზღვრები დარჩეს ზუსტად ისე, როგორც ეს იყო სსრ კავშირის დაშლის დროს.



კომენტარების შეზღუდვა, რათა არ შეაშფოთონ მოსახლეობა, იწვევს უკუშედეგებს. საზოგადოებაში პერიოდულად ჩნდება ხოლმე უკმაყოფილება მოსკოვის დამოკიდებულებით რესპუბლიკისადმი – აიო, იმისთვის დაიღვარა სისხლი საქართველოსთან ომში, რომ აღმოვჩნდეთ რუსეთის გავლენის ქვეშ და დავუთმოთ მიწებიო.

ცეცხლს ნავთი დაუმატა აფხაზეთის დელეგაციის მეთაურის ინტერვიუმ. მოლაპარაკება შეეხებოდა საზღვრის დელიმიტაციასა და დემარკაციას, მას ხელმძღვანელობდა ვალერი კვარჩია. ინტერვიუ გამოქვეყნდა გაზეთ „ნუჟნაიაში". კვარჩიამ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ თებერვალში მოსკოვიდან მივიღეთ საზღვრის ახალი ხაზის აღწერა აფხაზეთსა და რუსეთს შორის. დოკუმენტი, ჩამოყალიბებული საერთაშორისო ტრადიციის თანახმად, ანონიმური აღმოჩნდა – ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე. ამიტომ, კვარჩიას სიტყვებით, აფხაზეთის მხარეს არ დაუწყია მისი განხილვა, როგორც ოფიციალურისა. მაგრამ სხვა წინადადებებიც ჯერჯერობით არ არის. მოლაპარაკების რაუნდის დამთავრების დროს მხარეები უმეტესწილად განიხილავდნენ ზემოხსენებულ მონაკვეთს მდინარე ფსოუზე.

აფხაზეთის სახალხო პარტიის ლიდერმა იაკუბ ლაკობამ, როდესაც უთანხმოებას უკეთებდა კომენტარს, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „სახელმწიფო საზღვრის სადავო პროექტის გაჩენა შეიძლება იყოს პროვოკაცია". „აფხაზეთის პოლიტიკოსებმა საზოგადოებრიობამდე უნდა მიიტანოს თავისი ნათელი პოზიცია... თუ ეს არ არის პროვოკაცია დაძაბულობის გამოწვევის მიზნით აფხაზეთში, მაშინ ისინი, ვინც ამგვარი გეგმების უკანაა, ვერ მოიპოვებენ აფხაზი ხალხის ნდობას", – თქვა ლაკობამ.

მაგრამ იგი, როგორც ჩანს, რამდენადმე გადაჭარბებით აფასებს აფხაზეთის მოსახლეობის დამოკიდებულებას პრობლემისადმი. არასამთავრობო ორგანიზაციამ – „აინციხარა – ერთი მიწის შვილებია" მოაწყო გამოკითხვა 300 აფხაზს შორის ტერიტორიის ნაწილის შესაძლო გადაცემისადმი დამოკიდებულების გამოვლენისთვის. არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის თამარ მუკბას სიტყვებით, რესპონდენტების 10 პროცენტმა მას მხარი დაუჭირა, 30 პროცენტმა კი პასუხისგან თავი შეიკავა.

რუსეთის ინტერესები აიგბას მიჯნისადმი შეიძლება ნაკარნახევი იყოს ძველი მთის გზის მიერ, რომელსაც კრასნაია პოლიანისკენ მივყავართ. ამიტომ სოხუმში მიაჩნიათ, რომ აფხაზეთის ტერიტორის გამოყოფის ინიციატივა შეიძლება უნდა ვეძებოთ მათ შორის, ვისაც აქვს პირდაპირი დამოკიდებულება ოლიმპიური მშენებლობისადმი. „სხვადასხვა ხალხი არის ჩართული ამ საქმეში. ეჭვი არ მეპარება, რომ რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობა – არც ვლადიმერ პუტინი, არც დიმიტრი მედვედევი – ასეთ რამეს არ წამოიწყებდნენ", – მიაჩნია იგივე ლაკობას. სხვათა შორის, მეორე მხრივ, სწორედ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დაავალა ყველა სტრუქტურას უზრუნველყონ მომავალი ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების მაქსიმალური დონე, გაიხსენა ამ კონტექსტში „ისეთი მეზობლის შეშფოთება, როგორიც საქართველოა". თავად საქართველოსთან აიბგა მდებარეობს საკმაოდ შორს, მაგრამ „წყაროები" შეშფოთებისთვის კავკასიურ რეგიონში საკმაოდ ბლომადაა. და შესაძლოა სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ რუსეთის სურვილი მიიერთოს აიბგას



მიჯნა ყველა თავისი ნახევრად მიტოვებული გზით.

თავად „შეშფოთებული მეზობელი" მიმდინარე დემილიტაციისა და დემარკაციის პროცესს თავშეკავებულად ეპყრობა, ვიდრე ეს შეიძლებოდა გვევარაუდა. პრეზიდენტის აპარატში სიტუაციის კომენტარებს არ აკეთებენ. „ამ საკითხზე რეაგირება უკვე მოახდინა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, და ეს ჯერჯერობით საკმარისია", – განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ. საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ კი რუსეთ-აფხაზეთის მოლაპარაკებას არალეგიტიმური უწოდა. „არის მხოლოდ საქართველო-რუსეთის საზღვარი, დელიმიტაციისა და დემარკაციის შესახებ საკითხი არ მოითხოვს გადაწყვეტას და ეს საზღვარი მეტად ზუსტია. ნებისმიერი მცდელობა შეიქმნას ფორმალური, არალეგიტიმური კომისია, უკანონოა... ამას არ გააჩნია არანაირი ძალა იურიდიული თვალსაზრისით და არალეგიტიმურია საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. გზა, რასაც კვლავ მისდევს რუსეთის ხელმძღვანელობა – ეს არის საქართველოს ტერიტორიის დაპყრობა და ამ დაპყრობილი ტერიტორიების დაკანონება შექმნილი ამგვარი ფსევდოკომისიების მეშვეობით", – თქვა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ.

კავკასიის საკითხებში ექსპერტი მამუკა არეშიძე მიიჩნევს, რომ „სადავო ტერიტორია" – მართლაც რთული საკითხია, ვინაიდან აიბგას მიჯნა სხვადასხვა რუკებზე მიეკუთვნება ხან რუსეთს, ხან აფხაზეთს. ამიტომ საკითხი დემარკაციის შესახებ რომ განიხილებოდეს მოსკოვსა და თბილისს შორისაც კი, დავებს გვერდს ვერ ავუვლიდით. „თავად აიბგას დასახლება ფსოუს ორივე ნაპირზეა. ნომინალურად მარჯვენა ნაპირი რუსეთისად ითვლება, მარცხენა კი – საქართველოსად. მაგრამ არის რუკები, რომლებზეც მარჯვენა მხარის ზოლი ასევე საქართველოს ფარგლებშია ჩართული... რუსეთის იმპერიის დროიდან გაგრის მხარე, მთელი ამჟამინდელი განთიადი და აიბგა მიეკუთვნებოდა სანაპირო ოლქს, დანარჩენი – სოხუმის ოლქს. არსებული კონფლიქტი რომ არც ყოფილიყო, ეს პრობლემა რუსეთს მაინც ექნებოდა საქართველოსთან ისევე, როგორც, მაგალითად, ხევსურეთში, სადაც ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი სოფელ ფიჭვების, ანუ ლარსის გამტარი პუნქტის პრობლემა", – თქვა არეშიძემ. რაც შეეხება კონკრეტულად აიბგას მიჯნას, აქ, ექსპერტის აზრით, ყველაფერი დამოკიდებულია მოსკოვის სურვილზე. „სიტუაცია რომ არ გაამწვავოს, მას შეუძლია უარი თქვას ამ თავის მიდრეკილებაზე. მაგრამ შეუძლია აგრეთვე ისიც გამოაცხადოს, რომ, ვთქვათ, განთიადი რუსული დასახლებაა, იქ აფხაზებს არასოდეს უცხოვრიათ, ამიტომ ეს ჩვენიაო და ა.შ. მიტაცებულ მიწებს არაფერი მოჰყვება – დამოუკიდებლად აფხაზეთს არ შეუძლია დაუპირისპირდეს რუსეთს არანაირად", – მიაჩნია არეშიძეს.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩვენი გაზეთის შეკითხვაზე აფხაზეთთან დაპირისპირების თაობაზე მოგვთხოვეს წერილობითი შეკითხვა და დაგვპირდნენ, რომ სიტუაციას კომენტარებს გაუკეთებდნენ მოგვიანებით.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# თუკი საქართველოს შეუძლია რუსეთთან მოლაპარაკება, რატომ არ შეუძლია ეს აშშ-ს?

**ჯოშ როგონი წერდა: „საქართველოს შეუძლია დღეს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრება დაბლოკოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს გაწევრება შეერთებულ შტატებს და რუსეთს შორის გადატვირთვის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ქართველები ამბობენ, რომ მოსკოვთან შეთანხმებისთვის მზად არიან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრემლი სავაჭრო და საბაჟო პოლიტიკის სფეროში მსო-ს წესებს დაიცავს. ასეთი პოზიცია რუსეთისგან მოითხოვს კომპრომისს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ კონფლიქტში საქართველოსთან".**

ჩვენ ვაგრძნობინეთ ჩვენს დემოკრატიულ მოკავშირეს: „ბიჭებო, თქვენ დამოუკიდებლად უნდა მიაღწიოთ რუსებთან შეთანხმებას".

„ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მკაფიოდ განაცხადეს იმის შესახებ, რომ ვაშინგტონი არ ჩაერევა რუსეთსა და საქართველოს შორის მსო-ზე მოლაპარაკების პროცესში".

არ არის გასაკვირი, რომ რუსეთი მოლაპარაკებაში ძალიან „კონსტრუქციული" არ არის და რატომ უნდა იყოს? შეერთებულ შტატები არაფერს ითხოვს და მოსკოვის მსო-ში გაწევრების პირობად არ აყენებს რუსული არმიის მიერ საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დატოვებას, რომელიც მას ოკუპირებული აქვს. ამავდროულად, შეერთებული შტატები არ ჩქარობს საქართველოს თავდაცვითი შეიარაღებით უზრუნველყოფას.

„ჩვენ არ გვაინტერესებს უდრეკი პარტნიორის მიტოვება, რომელიც ნატოში გაწევრებისკენ ადეკვატური თავდაცვითი საშუალებების გარეშე მიისწრაფვის", – სამშაბათს განაცხადა ჯონ მაკკეინმა შეიარაღებული ძალების საქმეთა კომიტეტის მოსმენებზე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ ადმინისტრაციას სიტყვაზე იჭერს, რადგან ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ არ მოქმედებს საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე აკრძალვა. მისი თქმით, ზოგიერთი მსუბუქი შეიარაღების მიწოდებები „პროცესშია". პრეზიდენტმა ამავდროულად აღნიშნა, რომ საქართველოს ძალიან სჭირდება მძიმე შეიარაღება, რომელსაც გამოიყენებდა ქვეყნის დასაცავად რუსეთთან ახალი კონფლიქტის შემთხვევაში".

ეს ჩვენ „რუსული გადატვირთვის" ცენტრალურ კითხვასთან გვაბრუნებს: და ჩვენ რას გავურბივართ ამით? პრეზიდენტ ობამას რუსული პოლიტიკის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ აშშ-ს პოლიტიკა რუსების დაშოშმინების სურვილით თავდაყირა დადგა. ჩვენ არ ვთავაზობთ საქართველოს შეიარაღებას, რომელმაც თავისი სამხედრო ნაწილები ავღანეთის ჰელმანდის პროვინციაში განათავსა. სამაგიეროდ უფასო ბილეთს ვაძლევთ რუსეთს, რომელსაც ოკუპირებული ჰყავს თავისი მეზობელი 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობების დარღვევით და, სხვათა შორის, რუსეთის მოქმედებები ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ისეთივე ცუდი ან შესაძლოა უარესიც კია, ვიდრე ოდესმე იყო.

START-თან დაკავშირებული შემთხვევის არ იყოს, ადმინისტრაციას იმდენად სურს „წარმატების" წარმოჩენა (რუსეთის მსო-ში გაწევრებაძ, რომ ჩვენ ველარ ვაცნობიერებთ იმას, რომ ეს რუსეთის წარმატებაა და არა შეერთებული შტატებისა. ეს მნიშვნელოვანი გზავნილია არა მხოლოდ რუსეთისთვის, არამედ ირანის, ჩინეთისა და ახლოაღმოსავლეთისთვის. უხეშად რომ ვთქვათ, შეერთებული შტატები საკუთარ მეგობრებს კარგად არ ეპყრობა.

washingtonpost.com

## დედამიწის ზურგზე



**კადაფის ვაჟიშვილები ამზადებენ მის წასვლას ხელისუფლებიდან, თავად პოლკოვნიკი მოლაპარაკებას ევროპაში აწარმოებს**

საინფორმაციო წყაროების თანახმად, როგორც ჩანს, თავად კადაფი მზად არის მიიღოს მისი შვილების სეიფ ალ-ისლამისა და საადის გეგმა. როგორც ვარაუდობენ, ქვეყანას კადაფის გადადგომის შემდეგ შეიძლება სათავეში ჩაუდგეს სეიფ ალ-ისლამი. ამ დროს კადაფიმ უკვე გაგზავნა ემისარი საბერძნეთში, თურქეთსა და მალტაზე მოლაპარკებისთვის.

**კოტ დ' ივუარი ემზადება ორი პრეზიდენტის „უკანასკნელი ბრძოლისთვის". აღმოაჩინეს მასობრივი მკვლელობის ათასი მსხვერპლის ცხედრები**



ლორან გბაგბო, რომელმაც 2010 წლის ბოლოს წააგო საპრეზიდენტო არჩევნები ალასან უატართან, არ აღიარებს ამას და კვლავ თავის სასახლეშია ქვეყნის ეკონომიკურ დედაქალაქში აბიჯანში. უატარის მომხრეებმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადეს, რომ გბაგბოს სულ რამდენიმე საათი დარჩა. ფრანგებმა კონტროლზე აიყვანეს აეროპორტი და აწარმოებენ უცხოელების ევაკუაციას.

**ნაზარბაევმა მოხსნა ახალი რეკორდი, როდესაც გაიმარჯვა არჩევნებში. რუს მეთვალყურეებს სურთ გადმოიღონ მისი გამოცდილება**



ყაზახეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომისიის წინასწარი მონაცემებით, ქვეყნის მოქმედმა ხელმძღვანელმა მიიღო ხმების 95,5 პროცენტი. სხვათა შორის, მის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა ჯერ კიდევ წინა დღით. ინტრიგა იყო მხოლოდ ის, თუ „ერის ლიდერი" რამდენად გადააჭარბებდა თავისი 2010 წლის შედეგებს – მაშინ მან ხმების 91 პროცენტი მოიპოვა.

**კანდაგარში ამერიკელი მოძღვრის მიერ პროვოცირებული დარბევების მსხვერპლთა რიცხვი 100-მდე გაიზარდა**

ათობით დაჭრილი ჰოსპიტალიზებულია, მათ შორის ბევრია ბავშვი. გააფთრებული ბრბო წინა დღის ცდილობდა შეეღწია გაეროს შენობაში და ადგილობრივ ადმინისტრაციაში. დემონსტრანტებმა სცემეს ერთ-ერთ ოფიცერს და პოლიცია იძულებული გახდა გაეხსნა ცეცხლი განადგურებაზე.



გაბრაზებულ გულზე

# „კავკასია" — დამოუკიდებელი, ოპოზიციური ტელევიზია, თუ რესპუბლიკური პარტიის „შპს"?

**ვინც ყურადღებით უყურა ტელეკომპანია „კავკასიის" ა.წ. 28 მარტის პროგრამა „სპექტრს", არა მგონია კითხვის ნიშნები არ გასჩენოდა ამ ტელევიზიის მიმართ. ამას მათ მიმართ ვამბობ, ვისაც დღემდე მიამიტურად სჯერა, რომ აქუბარდიას კანტორა ერთადერთი თავისუფალი, მართალი სიტყვის კუნძულია ნაცების მიერ უზურპირებული ტყუილების ოკეანეში. თორემ მე, დიდი ხანია, აღარ მჯერა „აქუვიზიის" არც თავისუფლების და მით უმეტეს, არც ოპოზიციურობის. ზემოთ ხსენებული „სპექტრი" ამ მიმართებით ჩემი სკეპტიციზმის საფუძვლიანობის კიდევ ერთი დასტური იყო. და კიდევ იმის, რომ ეს ტელევიზია (ყველა სიკეთესთან ერთად) რესპუბლიკური პარტიის „შპს"-დაც ქცეულა.**

**თუ არა და ქვემოთ რასაც ვიტყვი, მკითხველმა იმის მიხედვით განსაჯოს და აქედან გამომდინარე, თუ დავიმსახურებ, განმსაჯოს კიდეც. ამისთვის კი ცოტა შორიდან მომიწევს დაწყება და თუ „გრძელი სიტყვა" მოკლედ ვერა ვთქვა, მკითხველს ვთხოვ მომიტევოს...**

როგორ და რა მანქანებით შეიქმნა გასული საუკუნის მიწურულს „კავკასია" დეტალებში, ჩემთვის უცნობია. ის კი გამიგონია, რომ ეს საქმე ყოფილ შს მინისტრს, ოდიოზურ შოთა კვირაიას უკავშირდებაო. ასე იყო თუ ისე, ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს? ამიტომაც „კავკასიის" საეჭვო „ბავშვობასა და ყრმობას" გამოვტოვებ, ანუ იმ დროს, როდესაც „რუსთავი-2" მძლავრობდა და, როგორც დღეს გამოჩნდა, ტვინებს გვირეცხავდა ,რევოლუციამდელ საქართველოს მოსახლეობას. აბა მაშინ ვინ უყურებდა და უსმენდა „კავკასიის" კნავილს? პატარკაციშვილის „იმედის" დროს ხომ საერთოდ უხერხულია ამაზე საუბარიც კი.

თუმცა ისეთი კურიოზული შემთხვევაც მახსოვს, როდესაც მიამიტმა ხალხმა ხელში ატაცებული ატარა რუსთაველზე აქუბარდია, რის შემდეგაც, როგორც ნამდვილ პროვინციალს (აზროვნებით, მენტალურად პროვინციალობას ვგულისხმობძ მოსდით ხოლმე, თავმდაბლური სიხარულის, სიამაყის ნაცვლად, ამპარტავნების ჭიამ შეუღიტინა და პირდაპირ ეთერში მხართეძოზე წამოწოლილი მთელს ქალაქს მენტორის ტონით მოძღვრავს.

ამ ტელევიზიის და მისი დიასახლის-მამასახლისი ცოლ-ქმრის ნამდვილი სახე, განსაკუთრებით 2009 წლის წარუმატებელი საპროტესტო აქციების შემდეგ გამოჩნდა ნელ-ნელა. ვისაც უნარი და, რაც მთავარია, სურვილი აქვს კრიტიკულად გააანალიზოს „აქუვიზიის" სამაუწყებლო პოლიტიკა, მისთვის ცხადია, რომ „კავკასიის" თავისუფლების, მით უფრო ოპოზიციურობის მითისგან, აღარაფერი დარჩა!

თუნდაც ის პროვოკაცია რად ღირს, როდესაც სახალხო მართლმადიდებელი მოძრაობის წევრები პირდაპირ ეთერში დააჭერინეს ცოლ-ქმარმა, რომელთაგან 6 ახალგაზრდა, დღემდე „მსუყე სროკს" იხდის ციხეში. ხოლო მალხაზ გულაშვილი შვილთან ერთად სამშობლოდან გა-



დახვეწილია! ამით კი ჩვენში ყოველი ანტიქართული, ანტიმართლმადიდებლური ბოროტების სათავემ და წარმმართველმა „თავისუფლების ინსტიტუტმა" იხეირა. იხეირა ამ სოროსის ინკუბატორმაც, რომელსაც სწორედაც რომ „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობით" (მალხაზ გულაშვილი შეიძლება მოგწონდეს ან არა!?ძ ისეთი „წყალი ჰქონდა შეყენებული", რომ მათი წალეკვა სულ მოკლე ხანში გარდაუვალი ჩანდა!

მერე იყო და აშკარად ლობირებდნენ იმთავითვე წაგებულ ე.წ. ადგილობრივ არჩევნებს, რა თქმა უნდა, ბოიკოტის მომხრეთა, უკეთეს შემთხვევაში იგნორირების ფონზე. და აგერ, სულ ახლახან, ჯერ ხომ არადა არ ალირსეს პირდაპირი ეთერი „სახალხო კრების" მესვეურებს და მხოლოდ კრების წინა დღეს დაუთმეს ეთერი. მანამდე აშკარად ნეგატიურ პოზიციებს აფიქსირებდნენ ცოლიც და ქმარიც. იქამდეც კი, რომ ერთხელ პირდაპირ ეთერში ლამის ჩხუბი მოუვიდა აქუბარდიას აპის გამო აღფრთოვანებულ ცხონებულ რამაზ კლიმიაშვილთან.

მალხაზ გულაშვილის მონაწილება-არმონაწილეობის არ იყოს, სახალხო კრებაც შეიძლებოდა ბევრს მაშინაც არ ეხატებოდა გულზე, მაგრამ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი რომ იმედით ელოდებოდა 25 ნოემბერს, ეს უდავო ფაქტი მგონია. ვიმეორებ, ეს მერე გამოჩნდა, რომ ხალხის მოლოდინები გადაჭარბებული იყო, რის გამოც ჩემგან კრიტიკა არ დაკლებიათ ნინო ბურჯანაძეს თუ სხვებს იმავე დოზით, როგორც მხარს ვუჭერდი მათ კრების ფიასკომდე.

ახლა არის და ე.წ. რვიანის მესვეურებს აქვთ ოკუპირებული „კავკასიის" ეთერი. რა თქმა უნდა, „რვიანის" მთავარი იდეოლოგების, რესპუბლიკელების თამადობით. ისეთ კვირას ვერ ნახავთ, რომ ცოლ-ქმარმა ხიდაშელ-უსუფაშვილებმა „ლიბერალურ-დემოკრატიულად" არ დაგვმოძღვრონ ცოლ-ქმარ აქუბარდია-ჯანგირაშვილის პირდაპირი ეთერიდან. მაგრამ ახლა იმაზე, რამაც წინამდებარე წერილის შექმნა განაპირობა, ანუ აქა ამბავი

## როგორ და რისთვის გარიცხეს რესპუბლიკელებმა მურმან დუმბაძე პარტიიდან?

როგორც ჩანს, რესპუბლიკელებსაც, რომლებსაც საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, მყარად უკავიათ ანტიეროვნული, ანტიმართლმადიდებლური (ჯერჯერობით შენიღბულად, მართალია ცუდად, მაგრამ მაინცძდა აქედან გამომდინარე, გლობალისტურ-კოსმოპოლიტური ნიში, მათაც კი ჰყოლიათ პარტიაში ერთი ნაღდი ქართველი მამულიშვილი მურმან დუმბაძის სახით, რომელიც სტუმრად ჰყავდა მიწვეული აქუბარდიას წერილის თავში ხსენებულ „სპექტრში". მაგრამ რად გინდა, ჭკუის დარიგება არ დააკლო აქუ ბატონმა.

რად გინდოდა პარტიას რომ ანგრევდი, შიგნით გაგერჩიათ მტყუან-მართალი, რესპუბლიკურ ოჯახშიო, რესპუბლიკელებს ხომ დიდი ღვაწლი მიუძღვით საქართველოს წინაშეო და ა.შ. ერთი სიტყვით, ამის შემყურე უცხო თვალს რესპუბლიკური პარტიის წევრი უფრო აქუბარდია ეგონებოდა ვიდრე მურმან დუმბაძე.

არადა საქმე ის იყო, რომ ბათუმის (აჭარისძ რესპუბლიკური პარტიის რეგიონული ფილიალი მისი თავმჯდომარის მურმან დუმბაძის მეთაურობით აღმოჩნდა ბათუმის ცენტრში სულთან აზიზის სახელობის მეჩეთის აშენების მოწინააღმდეგეთა ავანგარდში. უფრო მეტიც, საპროტესტო ღონისძიების მთავარი ორგანიზატორიც მურმან დუმბაძე ყოფილა, რომელიც გამართულა 23 მარტს, ანუ ზუსტად 90 წლისთავზე მას შემდეგ, რაც გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა ბათუმი ბრძოლით გამოსტაცა ჩვენს „მეგობარ" თურქებს.

ჰოდა, აბა ასეთ მამულიშვილურ გადაცდომას დაუშვებდა რესპუბლიკელების თბილისური ცენტრი? აკი არც დაუშვეს და უფრო მეტიც, გაემიჯნენ ბათუმურ მიტინგს და იგივე მოუთხოვიათ მურმან დუმბაძისგანაც. აქაოდა, რელიგიური თემატიკის მიტინგობია სახიფათოა, ემანდ რაიმე ექსცესი არ მოხდესო.

ამას მურმანი არ დაეთანხმა, საკუთარ პარტიას გაემიჯნა ( თავი დროებით გასულად გამოაცხადაძ, მიტინგიც ექსცესების გარეშე ჩაუტარებიათ, რომელსაც ადგილობრივი ნაცებიც დასწრებიან. (!ძ რაც მან პირდაპირ ეთერში მოგვიყვა და იქვე ხმამაღალი განცხადება გააკეთა — თურქეთის მთავრობის (!!!ძ მიერ ბათუმის ცენტრში მეჩეთის აშენება, აჭარაში თურქეთის ინტერესების, პრეტენზიების სიმბოლიზირებას ნიშნავს,. რასაც არ დავუშვებ, თურქულ დროშას ბათუმის ცენტრში არ დავარჭობინებო!

ამაზე აქუმ შეუტია, რას ამბობ, რა სისულელეა (ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ შინაარსით ეს გამოუვიდაძ, რას მიედ-მოედებიო. თითქოს ის ამბავი დიდი საიდუმლოა, რომ აჭარა პრაქტიკულად თურქეთის ეკონომიკური ვილაიეთობისკენ მიექანება ყოველგვარი დროშის დარჭობის გარეშე.

ესეც არ იკმარა აქუ ბატონმა და — ერთი-ორი-სამი მაყურებელი შემომაყვანინე, ბატონო მურმანო" და ჰოი, საკვირველებავ, თინა ხიდაშელის (გიგა ბოკერია კაბაშიძ „ნარნარი" ხმა არ გაისმა? უიო, „გაიკვირვა" აქუბარდიამ, თინიკო ყოფილაო! და 10-15 წუთი მენტორული მონოლოგი გვასმენინა ეთერში, რომლის დროსაც, რომ იტყვიან, სიტყვა არ ჩააგდებინა დუმბაძეს — ხელით (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობთძ აჩერებდა მურმანს, რომელსაც საკუთარი ნებით დროებითი გასვლა, სამუდამო გარიცხვით შეუცვალეს თბილისიდან. ალბათ იმიტომ, რომ იმ მიტინგზე (ხიდაშელის თქმითძ მართალია სისხლი არ დაღვრილა, მაგრამ ქსენოფობიური განცხადებები კი გაისმაო.

რა იგულისხმება ქსენოფობიაში, არ დაუკონკრეტებია მთავარ რესპუბლიკელ ლედის, მაგრამ არ მგონია, „ბრძენთა ხმობა დაგვჭირდეს" ამის მისახვედრად: სამშობლო, მამულიშვილი, ან კლასიკური „ენა, მამული, სარწმუნოება", რაც დიდი ალბათობით ჟღერდება ხოლმე მსგავსი ტიპის ღონისძიებებზე, რესპუბლიკელებისთვის და მათი მსგავსი „ლიბერასტული" პარტიებისთვის ხომ აპრიორი ქსენოფობიაც არის და ფაშიზმიც!

რა არის ეს (თინიკოს „შემთხვევით" ჩართვას ვგულისხმობძ, თუ არა პროვინციული ვირეშმაკობა? ეს რომ ასეა, იქიდანაც გამოჩნდა, რომ ის „ერთი-ორი-სამი" მაყურებელი, ერთ ხიდაშელად დარჩა და მეტი აღარავინ შემოუყვანია აქუბარდიას.

ვინ ჭამს მაგას, დავით აქუბარდიავ! არც იმის სჯერა ჭკუათმყოფელს ვინმეს, რომ თავისუფალი, ოპოზიციური არხია „კავკასია". ამის დასტური თუნდაც ის არის, რომ „აქუვიზიაში" ელეთმელეთი მოსდით ამერიკის გლახად ხსენებაზე. ისე გადაეფოფრება ხოლმე თავის მარჩენალ ამერიკის ელჩს, მატროსოვის ამბრაზურა მიმიქარავს.

ამბობენ, აქაური რესპუბლიკელების შუამავლობით პირდაპირ „იქიდან" ფინანსდება „კავკასიაო". ამიტომაც ჰგავს ეს ტელეკომპანია რესპუბლიკური პარტიის „შპს"-ს. თუ არა და, იქნებ ვინმემ ამიხსნას რითი არსებობს „აქუვიზია"? ექიმი „ბორმენტალის" მეტი მათ არხზე სხვა რეკლამას ვერ ნახავ და დავიჯერო, რომ ის (ექიმი ბორმენტალიძ, ვისაც ყველა გასახდომად აკითხავს, მარტო დათო აქუბარდიას ასუქებს?

**დავით მხეიძე**

ინფორმაცია



# „ფიროსმანი" ვერ გაიტანეს

**თბილისის პროკურატურის მიერ გატარებული ღონისძიების შედეგად აღკვეთილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ნიკო ფიროსმანაშვილის მიერ აბრაზე შესრულებული ნახატის „კახური ღვინო" საქართველოდან, კონტრაბანდული გზებით, საზღვარზე უკანონოდ გატანის ფაქტი. ექსპერტების მიერ დადასტურებულია, რომ ნახატი ფიროსმანს ეკუთვნის, თუმცა დამატებითი ანალიზი გრძელდება.**

**სამართალდამცველებისთვის ცნობილი გახდა, რომ ნიკო ფიროსმანის ნახატი „კახური ღვინო", რომლის რეალური მესაკუთრე ჯერჯერობით დაუდგენელია, საქართველოდან აზერბაიჯანის რესპუბლიკის გავლით რუსეთის ფედერაციაში უნდა გაეტანათ და ერთ-ერთი კოლექციონერისთვის 500 000 აშშ დოლარად მიეყიდათ. დამნაშავეთა ჯგუფი უკრაინაში მცხოვრები უცნობი ბიზნესმენის სახელით მოქმედებდა.**

**იმ პირებს, ვისთანაც ნახატი ინახებოდა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საზღვარს გარეთ ლეგალურად გატანის უფლება არ გააჩნდათ, მიზნის მისაღწევად მათ განიზრახეს ორი სახელმწიფოს საზღვრის შემოვლით, კონტრაბანდული გზებით გადალახვა, რაც ხელოვნების ნიმუშის დაზიანების ან განადგურების რეალურ საფრთხეს ქმნიდა.**

**თბილისის პროკურატურისა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები გაიოზ ჯავახიშვილი, გელა სანიკიძე, ალექსანდრე ფურცხვანიძე, დავით ზირაქაშვილი და ზურაბ დათუკიშვილი სწორედ მაშინ დააკავეს, როცა ფიროსმანის ნახატის აზერბაიჯანში არალეგალურად გადატანის ყველა პირობა უკვე შექმნილი იყო.**

**ნიკო ფიროსმანაშვილის მიერ აბრაზე შესრულებული ნახატი „კახური ღვინო" საქართველოს ხელოვნების ეროვნულ მუზეუმს გადაეცა.**

**საქართველოს პროკურატურა მომავალშიც გააგრძელებს ღონისძიებებს ეროვნული საგანძურის დაცვისა და კონტროლის მიზნით და კულტურული ღირებულების მქონე ნივთების ყველა მფლობელს თუ შეძენის მსურველს მოუწოდებს, დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები.**

ჯი-ეიჩ-ენი

ჭიდაობა

# რევაზ ლაშხმა გვასახელა



**დორტმუნდში დასრულებული მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატის ბოლო ორი დღე „კლასიკოსებს“ დაეთმოთ. შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა სრული შემადგენლობით. შვიდეულიდან მხოლოდ ბორჯომელმა რევაზ ლაშხმა (60 კგ.ძ გვასახელა – იგი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.**

ქართველმა ფალავანმა ფინალამდე რუმინელ ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიო პრიზიორ ეუსებიო დიაკონუს სძლია, შემდეგ მსოფლიოს და ევროპის შარშანდელი ჩემპიონატების გამარჯვებული აზერბაიჯანელი ჰასან ალიევი ჩამოიშორა გზიდან. შედარებით იოლად დაამარცხა ესპანელი სებასტიან იდალგო და პოლონეთის სახელით მოასპარეზე სომეხი ედუარდ ბარსეგიანი. გადამწყვეტ პაექრობაში ჩვენებურს ევროპის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი ბულგარელი ივო ანგელოვი დაუპირისპირდა. ქართველი ფალავნის შეჩერება ვერც სლავმა შეძლო. ლაშხმა ძირითად დროში გაიმარჯვა – 1:0, 2:0 და ოქროს მედალი დაიმსახურა.

ჩვენი გუნდის სხვა მოჭიდავეებმა კვარცხლბეკთან მიახლოება ვერ შეძლეს, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია (74ძ სულაც პირველ წრეში დამარცხდა ფრანგ კრისტოფერ ჟენოსთან. მართალია, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე კიდევ ერთი ქართველი – ამბაკო ვაჩაძე ავიდა (66ძ, მაგრამ მან ზედიზედ მესამე ოქროს მედალი რუსების ყულაბაში ჩააჩხრიალა.

**გივი გაგუა**

მძლეოსნობა

# იუბილე მანეჟში მიულოცეს

**სახელოვანმა ქართველმა მძლეოსანმა რობერტ შავლაყაძემ გასული საუკუნის 50-60-იან წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საერთაშორისო სარბიელზე. სიმაღლეზე ხტომაში ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა (1962ძ, სსრკ ჩემპიონმა (1962ძ და სამგზის მეორე პრიზიორმა სოციალისტური ქვეყნების თამაშებში შვიდჯერ ( 1957-1963ძ გაიმარჯვა, ხუთჯერ ძმები ზნამენსკების საერთაშორისო ტურნირი მოიგო.** ყველაზე მნიშვნელოვან გამარჯვებას 1960 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებზე მიაღწია – იტალიის დედაქალაქში მან ამერიკელ სიმაღლეზე მხტომელთა ჰეგემონია დაამხო: 216 სანტიმეტრზე გადებული თამასა პირველსავე ცდაზე გადალახა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ოლიმპიური რეკორდით (216 სმძ ავიდა. თუმცა, ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე შეურყია მან ოკეანისგაღმელებს ტახტი, როცა აშშ-სსრკ „გიგანტთა მატჩში“ გაიმარჯვა სიმაღლეზე ხტომაში. 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე მან მეოთხე-მეხუთე ადგილები გაინაწილა. ლეგენდარული ათლეტის ღვაწლი სათანადოდ დაფასდა – დაჯილდოებულია სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით. დაბადების 78-ე წლისთავთან დაკავშირებით ოლიმპიურ ჩემპიონს დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს და ფულადი ჯილდოც გადასცეს. იუბილარს მიესალმნენ სპორტის მინისტრი ლადო ვარძელაშვილი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი, მძლეოსნობის ფედერაციის თავკაცი ალექსი ახვლედიანი, კოლეგები, რომლებმაც რობერტ შავლაყაძეს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვეს.



**ლაშა დიდია**

წყალბურთი

# „ივერია“ ძლიერია



**„ოლიმპიკის“ საცურაო აუზში დამთავრდა 1995-1996 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობა, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სპორტკლუბ „ივერიისა“ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საწყლოსნო კლუბ „ლიგამუსის“ პირველი გუნდები.** გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ივერიელებმა (ინწკირველი, ჯმუხაძე, გელაძე, კახეთელიძე, რევია, ბითაძე, ჩანტლაძე, ზაქარეიშვილი, თევდორაშვილი, ყაზახიშვილი, ჯახაია, პაპასკირი, მწვრთნელები – მეგედი, ძოიავაძ იყოჩაღეს – მეტოქე 9:6 (2:1, 1:2, 2:2, 4:1ძ დაამარცხეს და ოქროს მედლები მოიპოვეს. „ვერცხლი“ „ლიგამუსის“ პირველ გუნდს ხვდა. ამავე კლუბის მეორე გუნდმა კი მესამე ადგილისთვის პაექრობაში „თბილისს“ აჯობა დამატებით დროში – 9:8 (0:0, 2:3, 2:3, 3:1, 2:1ძ.

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**XXII ეროვნული ჩემპიონატის XXVII ტური.** „ვიტ ჯორჯია“ – „ზესტაფონი“ 1:1 (ბეჟვაია; გელაშვილიძ, „სიონი“ – „ოლიმპი“ 1:0 (შალამბერიძეძ, „ტორპედო“ – „დინამო“ 0:0, „სამტრედია“ – „ბაია“ 3:0, „კოლხეთი“ – „ცხინვალი“ 0:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ზესტაფონი“ – 56, „ოლიმპი“ – 54, „დინამო“ – 47 (25 თამაშიდანძ, „ვიტ ჯორჯია“ – 39 (26 თამაშიდანძ, „ბაია“ – 35 (26 თამაშიდანძ, „ტორპედო“ – 34, „სიონი“ – 29, „ცხინვალი“, „კოლხეთი“ – 25-25, „სამტრედია“ – 23 ქულა.

* * *

**იტალია. XXXI ტური.** „მილანი“ – „ინტერი“ 3:0, „რომა“ – „იუვენტუსი“ 0:2, „ნაპოლი“ – „ლაციო“ 4:3, „ლეჩე“ – „უდინეზე“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მილანი“ – 65, „ნაპოლი“ – 62, „ინტერი“ – 60, „უდინეზე“ – 56, „ლაციო“ – 54 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ფიორენტინა“ – „მილანი“, „ბოლონია“ – „ნაპოლი“, „ინტერი“ – „კიევო“, „უდინეზე“ – „რომა“, „ლაციო“ – „პარმა“.

**ესპანეთი. XXX ტური.** „ვილიარეალი“ – „ბარსელონა“ 0:1, „რეალი“ – „ხიხონი“ 0:1, „ხეტაფე“ – „ვალენსია“ 2:4.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ – 81, „რეალი“ – 73, „ვალენსია“ – 57, „ვილიარეალი“ – 54 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ბარსელონა“ – „ალმერია“, „ბილბაო“ – „რეალი“, „ვალენსია“ – „ვილიარეალი“.

**ინგლისი. XXXI ტური.** „ვესტ ჰემი“ – „მანჩესტერი“ 2:4, „არსენალი“ – „ბლექბერნი“ 0:0, „სტოკი“ – „ჩელსი“ 1:1, „სიტი“ – „სანდერლენდი“ 5:0, „უიგანი“ – „ტოტენჰემი“ 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი“ – 66, „არსენალი“ – 59, „ჩელსი“, „სიტი“ – 56-56, „ტოტენჰემი“ – 50 ქულა.

**შემდეგი ტური:** „მანჩესტერი“ – „ფულჰემი“, „ბლექპული“ – „არსენალი“, „ჩელსი“ – „უიგანი“, „ლივერპული“ – „სიტი“, „ტოტენჰემი“ – „სტოკი“.

**გერმანია. XXVIII ტური.** „ბორუსია“ – „ჰანოვერი“ 4:1, „კაიზერი“ – „ლევერკუზენი“ 0:1, „ბაიერნი“ – „გლადბახი“ 1:0, „მაინცი“ – „ფრაიბურგი“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბორუსია“ – 65, „ლევერკუზენი“ – 58, „ბაიერნი“ – 51, „ჰანოვერი“ – 50, „მაინცი“ – 45 ქულა.



**შემდეგი ტური:** „ჰამბურგი“ – „ბორუსია“, „ლევერკუზენი“ – „სანკტ პაული“, „ნიურნბერგი“ – „ბაიერნი“, „ჰანოვერი“ – „მაინცი“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჩოგბურთი

# შეაჩერეთ „ჯოკო“!




**უკვე მეოთხე თვეა, ახალი სეზონი დაიწყო, სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა კი ჯერ დამარცხების გემო არ იცის.**

ზედიზედ 26-ე გამარჯვება მსოფლიოს მე-2 ჩოგანმა მაიამის პრესტიჟული ტურნირის ფინალში გრანტის მეფედ აღიარებულ რაფაელ ნადალთან მოიპოვა – 4:6, 6:3, 7:6, რომელსაც ამას წინათ ინდიან უელსის ჰარდზე გამართულ არანაკლებ რეიტინგული ასპარეზობის გადამწყვეტ რაუნდშიც სძლია. მათ პირად შეხვედრებში ანგარიში გახდა 16:9 ესპანელის სასარგებლოდ.

ამას წინათ გაუწყეთ, რომ ჩოგბურთის ისტორიაში წაუგებელი შეხვედრების სერიის რეკორდი სკანდალებით ცნობილ ამერიკელ ჯონ მაკინროის ეკუთვნის – 39 ბრძოლა, ხოლო მეორე შედეგი ჩეხ დიდოსტატს ივან ლენდლს ჰქონდა – 25 პაექრობა.

როგორ ხედავთ, ბალკანელმა უკვე გააუმჯობესა ამ უკანასკნელის მაჩვენებელი. ვნახოთ, შესწვდება თუ არა იგი საუკეთესო მონაგარს.

**როსტომ გიორგაძე**

ჭადრაკი

# მსოფლიოს თასზეც ვერ მოხვდნენ

**ფრანგულ ექს-ლე-ბენში დასრულებულ მოჭადრაკე ვაჟთა კონტინენტის ჩემპიონატის ბოლო ტურში რუსი ვლადიმირ პოტკინი უნგრელ იუდით პოლგარს დაუზავდა და 8,5 ქულით ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. მართალია, ამდენივე ქულა მოაგროვეს პოლგარმა, პოლონელმა რადოსლავ ვოიტაშეკმა (მე-11 ტურში რუს პიოტრ სვიდლერს შეუთანხმდა ყაიმზეძ და უკრაინელმა ალექსანდრ მოისეენკომ (ინგლისელი ლიუკ მაკშეინი დაამარცხაძ, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლები პოტკინს უკეთესი აღმოაჩნდა და ოქროც მას ერგო.**

კოეფიციენტით მეორე ადგილზე ვოიტაშეკი გავიდა, მესამე იყო პოლგარი. ვაჟთა ევროპის ჩემპიონატების თორმეტწლიან ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, ქალი რომ კვარცხლბეკზე ავიდა და მედალი დაიმსახურა. არადა, ტურნირში 2700-იანელთა კლუბის 9 წარმომადგენელი მონაწილეობდა. რაც შეეხება ბაადურ ჯობავას, მან 7,5 ქულით მეთექვსმეტე-ორმოცდამეოთხე ადგილები გაიყო, საბოლოოდ კოეფიციენტით 28-ე ადგილი დაიკავა, რეიტინგში 3,3 პუნქტი დაკარგა და მსოფლიოს თასის საგზურიც ვერ დაიბევა.

დანარჩენ ქართველთა მონაგარი ასეთია: 60. ლევან ფანცულაია (7 ქულა, რეიტინგში +9,3ძ, 117. ლუკა პაიჭაძე (6,5; +1,7ძ, 125. ლელა ჯავახიშვილი (6; +16,5ძ, 187. თორნიკე სანიკიძე (5,5; – 5,3ძ, 191. დავით ლობჟანიძე (5.5; – 2,0ძ, 208. დავით ზარქუა (5.5; -0,9ძ, 253. სალომე მელია (5; -20,3ძ.

**ლელა თავაძე**

კალათბურთი

# ისინი განწირულნი იყვნენ

**სუპერლიგის XIX ტურში ისეთი მატჩები გაიმართა, ბრძოლის ნატამალი რომ არ იგრძნობოდა. ამიტომ, მოდით, მხოლოდ საოქმო მონაცემებს დავჯერდეთ.**



„ქუთაისი“ – „დინამო“ 93:70. **ყველაზე შედეგიანები:** გიგი ბარბაქაძე – 27 ქულა („ქუთაისი“ძ, ივანეიშვილი – 14 ქულა („დინამო“ძ, „ენერჯი ინვესტი“ – შსს 68:90. **ყველაზე შედეგიანები:** ლამუ, მაჭავარიანი – 16-16 ქულა („ენერჯი ინვესტი“ძ, დავით ბარბაქაძე – 18 ქულა (შსსძ, „არმია“ – „ბათუმი“ 101:67. **ყველაზე შედეგიანები:** ტუღუში – 30 ქულა („არმია“ძ, ყველაშვილი – 18 ქულა („ბათუმი“ძ, სტუ – „სამედიცინო“ 76:93. **ყველაზე შედეგიანები:** ჩიკვილაძე – 34 ქულა (სტუძ, ჭოჭუა – 27 ქულა („სამედიცინო“ძ, თსუ – „სასოფლო“ 107:65. **ყველაზე შედეგიანები:** მათიაშვილი – 27 ქულა (თსუძ, ხანიაშვილი – 14 ქულა („სასოფლო“ძ. ისვენებდა „სოხუმი“.

**სატურნირო მდგომარეობა:** „არმია“ – 2, თსუ – 3, შსს, „ქუთაისი“ – 5-5, „სოხუმი“ – 7, „სამედიცინო“, „ენერჯი ინვესტი“ – 11-11, „ბათუმი“ – 12, სტუ – 13, „სასოფლო“ – 14, „დინამო“ – 17 წაგება.

**გიორგი შოთაძე**

ცხოვრების ბილიკები

# ორი იმერლის თავგადასავალი

**მშობელი კუთხისადმი, მამა-პაპური ფუძე-ძირისადმი მათი გულმხურვალე დამოკიდებულება რომ ვიცი, ამან გამომატანინა სათაურში სიტყვა „იმერელი“, თორემ, ისე, რა ხანია, ეს ხალხი ზოგადქართული, უმნიშვნელოვანესი საქმიანობითაა დაკავებული და, თითქმის 70 წელიწადია, ასე იცნობს მათ ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია, თეატრალური და კინოსამყარო...**

**რეზო ჩხეიძე და ვასილ კიკნაძე** — ერთი დიდი ქართველი კინორეჟისორი, მეორე — დიდი მეისტორიე ქართული თეატრისა... ერთი ქუთაისში, რიონისპირას დაბადებული და გაზრდილი, მეორე ხონის მიდამოებში, სოფელ ახალშენში დაბადებული, ფესვგადგმული და აქედან წამოსული თბილისის „დასაპყრობად“.

სხვათა შორის, ორივემ „დაიპყრო“ თბილისი, ორივემ აქ, საქართველოს კულტურის ცენტრში, გამოავლინა თავისი ნიჭი, და დღეს სრულიად წარმოუდგენელია ბატონი რეზო ჩხეიძის გარეშე მეოცე საუკუნის ქართული კინო, ბატონი ვასო (ასე ეძახის ქვეყანა და მეც ასე ვიტყვიძ კიკნაძის გარეშე — ქართული თეატრმცოდნეობა. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, ამ ცოტა ხნის წინათ ხელთ ჩამივარდა ამ ორი „ქვემოიმერლის“ მოგონებები — **„რეზო ჩხეიძე კინოს დიდ გზაზე“ და ვასილ კიკნაძის „გამოთხოვება მოგონებებთან“ (მემუარებიძ.**

რას ვიზამთ — დადგა უკან მოხედვის ჟამიც, დადგა განვლილი გზის განსჯისა და შეფასების დროც და, მიუხედავად იმისა, რომ მოგონებები, ამა თუ იმ სახელგანთქმული პიროვნებისა, როგორც წესი, უმეტესწილად სუბიექტურია, ბატონი რეზოსა და ბატონი ვასოს თავგადასავლების გაცნობისას, ბევრი ფაქტის თანამონაწილეც კი ხდება მკითხველი, რადგან ქართულ თეატრსა და კინოში ბევრი რამ ტკბილ-მწარე სწორედ რომ ჩვენს თვალწინ ხდებოდა.

„რეზო ჩხეიძე კინოს დიდ გზაზე“ აგრძელებს პროექტს, რომელიც წამოიწყეს ჩვენმა უნიჭიერესმა ქალბატონებმა კინორეჟისორმა ნანა ჯანელიძემ და კინოდრამატურგმა ნინო ნატროშვილმა და რომლითაც ქართველი მკითხველი (მეტადრე — ახალგაზრდობაძ უნდა გაეცნოს „ქართული კინოს ფენომენის“







დამამკვიდრებელთა, ჩვენს მსოფლიო რანგის კინემატოგრაფისტთა შემოქმედებას. როგორც ადრე თენგიზ აბულაძისა, ეს კრებულიც **ნანა ჯანელიძესა და ნინო ნატროშვილს** შეუდგენიათ, „არენა“ დაუთმიათ ქართული კინოს პატრიარქისთვის, რომელიც წიგნში მკითხველს უამბობს განვლილი ცხოვრების შესახებ. რა თქმა უნდა, ეს გზა ოკრობოკრო იყო, რა თქმა უნდა, ცხოვრებამ უკვე ბავშვობიდანვე ბევრი ძირმწარე აგემა — მამა — ნიჭიერი მწერალი და პედაგოგი დია ჩიანელი 37 წელს გააყოლა, ყმაწვილს ათასგვარი ოცნება დაუნგრია, თუმცა ერთს — კინოს ვერ დააცილა და, მოგვიანებით, თავის „დაძმაკაცებულთან“, თენგიზ აბულაძესთან ერთად ჯერ თბილისში, შემდეგ კი მოსკოვში კინოხელოვნების ანაბანას აზიარა.

ბატონი რეზო — უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე პიროვნება, ბრწყინვალე ფილმების დამდგმელი რეჟისორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი, შეიძლება ითქვას, არაფერს ფარავს — იყო წარმატებები, იყო შეცდომები, გულსატკენი ამბებიც, მაგრამ რეზო ჩხეიძე არასდროს ღალატობდა საქმესა და კაცობას...

მთელი ცხოვრება სიმართლის გზით იარა და დღეს უკვე უკან მოხედვისა არ ეშინია ჩვენს ვასილ კიკნაძესაც — საქართველოს თეატრალური უნივერსიტეტის პრორექტორს, კარგა ხნის წინათ კი, გაზეთ „კომუნისტში“ ჩვენი, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების, ღირსეულ ავტორს, რომელსაც ქართული თეატრის ისტორიაში გასაბრწყინებლად მარტო ჩვენი დიდი რეჟისორის, 37 წელს გადაყოლილი სანდრო ახმეტელის დიდებითა და ტრაგიზმით აღსავსე ბიოგრაფიის კვლევა და დღემდე უცნობი მასალების გამომზეურება ეყოფა, თუმცა, რა გასაკვირია, იგი დრომ გასული საუკუნის 50-იანი, 60-იანი წლების ქართული თეატრის პერიპეტიებს, სიხარულსა და გულდაწყვეტასაც ვერ ააცილა და, ეს ყოველივე, შესაშური ნიჭიერებით აქვს მოთხრობილი ბატონ ვასოს. პირდაპირ, ნოველების კრებულივით იკითხება მისი მოგონებები და მკითხველიც თანამონაწილეა დღეს უკვე ლეგენდადქცეული „თეატრალური“ ამბებისა (გამომცემლობა „საარი“, რედაქტორი გურამ ბათიაშვილი). რეზო ჩხეიძეცა და ვასილ კიკნაძეც ვალმოხდილნი არიან ქართული კულტურის, ჩვენი თეატრალური თუ კინოხელოვნების წინაშე, ამ მცირე გამოხმაურებაში აბა რას ჩაეტეოდა ის უამრავი საინტერესო ეპიზოდი, რაც ამ წიგნებშია მიმოზნეული.

მთავარია, რომ ორთავენი მართლები არიან მკითხველის, წინაპრების, მასწავლებელ-პედაგოგების და შთამომავლების წინაშე.

**ვილენ მარდალეიშვილი**

ხსოვნა

# ფარნაოზ ანანიაშვილი

## – ღირსეული მოქალაქე, საზოგადო მოღვაწე



**გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე, წლების განმავლობაში საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საფინანსო-ეკონომიკური დარგის რეფორმატორი, პრინციპული და უშეღავათო ხელმძღვანელი, მრავალი თაობის აღმზრდელი ლიდერი და საკუთარი საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალი ფარნაოზ ანანიაშვილი.**

**როგორც დიდმა მეოცესაუკუნელმა, ფარნაოზ ანანიაშვილმა თავისი მხრებით ზიდა საკუთარი დროის დიდი ჭირ-ვარამი. იყო თითით საჩვენებელი, ღირსეული ერისკაცი, ადამიანების და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, მეგობართა და ახლობელთა, განსაკუთრებით კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა თანამდგომი და ქომაგი, ნამდვილი რაინდი და დიდი ოჯახის ღირსეული თავკაცი.**

**ისტორიის კუთვნილება გახდა ლეგენდარული ფარნა ანანიაშვილი, თუმცაღა, იმის უკვდავ სახელს და შესანატრ კაცობას დავიწყება არ უწერია.**

**შვილებთან და შვილიშვილებთან, უახლოეს ნათესავებთან ერთად ჩვენც არასოდეს დავივიწყებთ უსაყვარლეს მეგობარს, თვალისჩინივით გავუფრთხილდებით ფარნას წმინდა საფლავს და ქრისტესმიერი სიწმინდით ვილოცებთ ჩვენი სათაყვანებელი ძმის სახელის უკვდავსაყოფად.**

**მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა, დიდებულო ქართველო!**

**მზია ჯუღელი, გურამ ჭანტურია, მიხეილ ქუთათელაძე, გუია ჩახავა, გელარ ბაქრაძე, ფრიდონ ლოლაძე.**

**ქეთევან, გურამ ჭანტურიები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ სიყრმის მეგობარი, ჩინებული ადამიანი და მოქალაქე**

**ფარნაოზ ანანიას ძე ანანიაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**მარინე, მარიამ, გელარ, გია, ავთანდილ ბაქრაძეები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი**

**ფარნაოზ ანანიაშვილი**

**და გულწრფელად თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**მიხეილ ქუთათელაძე, ზანდა გორგოშიძე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ ბავშვობის მეგობარი, დიდებული მამულიშვილი**

**ფარნაოზ ანანიაშვილი**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

მკითხველი კურნავს მკითხველს

### ნუ ატკაცუნებ!

**ასაკთან ერთად შევამჩნიე, რომ სახსრებმა დაიწყეს ტკაცუნი. ექიმმა მითხრა, რომ ეს მარილების დაგროვების ბრალიაო. წამალი მას არ გამოუწერია, ვინაიდან ხანდაზმულებისთვის ეს ლამის ნორმააო.** მაგრამ გადავწყვიტე არ დავნებებულიყავი და დახმარებისთვის სახალხო მედიცინას მივმართე. დამეხმარა ოხრახუშის ნახარში. აიღეთ 100 გრამი ოხრახუში და ნიახური (ფესვიც და ფოთოლიცძ, დაჭერით და 5-7 წუთი ადუღეთ 0,5 ლიტრ წყალში. დარჩენილ ნახარშში ჩაწურეთ 1 ლიმონი, დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი თაფლი. ეს პორცია დალიეთ ერთი დღის განმავლობაში პატარა ყლუპებით. მკურნალობის კურსი შეიძლება გაგრძელდეს ერთი, ორი თვე. მე ტკაცუნი სახსრებში შემიწყდა 6 თვის შემდეგ.

**გიული ჩახავა, ხობი**

### მურაბა აბების ნაცვლად

**გაზაფხულობით ყოველთვის გვაკლია ვიტამინები, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ თავს ვგრძნობთ მოდუნებულად და ხშირად ვავადმყოფობთ. იმუნიტეტის შენარჩუნებაში დაგვეხმარება ასეთი რეცეპტი.** ავიღოთ 0,5 კილოგრამი მოცხარი (შეიძლება გაყინულიცძ და ავზილოთ. დავნაყოთ ერთი ჭიქა თხილი, კუბიკებად დავჭრათ 2-3 მწვანე ვაშლი. ყველაფერი ავურიოთ ერთმანეთში, დავუმატოთ 0,5 ჭიქა წყალი და 0,5 კილოგრამი შაქარი. ნარევი ნელ ცეცხლზე ვიქონიოთ, სანამ არ წამოდუღდება. ამის შემდეგ ჩავასხათ შუშის ქილებში. მივიღოთ თითო სუფრის კოვზი დილით და საღამოს.

**ეთერ სიხარულიძლე, ხაშური**

### გრიგალი კუჭში

მრცხვენია რომ ვთქვა, მაგრამ საკმარისია ჩვეულებრივად ოდნავ მეტი შევჭამო, რომ დამეწყოს მეტეორიზმი. გამიგებთ, მეტად უხერხული სიტუაციაა, ზოგჯერ სასირცხვილოც. მაგრამ ახლა ვიცი, როგორ ვებრძოლო ამ უხერხულობას. ახლა ყოველთვის მაქვს ქონდრის ნაყენი.

●100 გრამ მშრალ ქონდარს დავასხათ 1 ლიტრი მშრალი თეთრი ღვინო. გავაჩეროთ ერთი კვირა, პერიოდულად შევარხიოთ ხოლმე, შემდეგ მივიყვანოთ წამოდუღებამდე და დაველოდოთ დადუღებას, შევფუთოთ 4-6 საათით, შემდეგ გავწუროთ. მივიღოთ ნაყენი თითო სუფრის კოვზი დღეში 2-3-ჯერ ჭამამდე.

**გ.ბ. თელავი**

### ქოშინმა გაიარა

**ჩემმა ქმარმა, რაც პენსიაზე გავიდა, დაიწყო ჩივილი გულსა და ქოშინზე. პოლიკლინიკაში ვერაფერი სერიოზული მასში ვერ აღმოაჩინეს. ყოველი შემთხვევისთვის დავიწყე მისთვის კუნელისა და ასკილის ნაყენის მიცემა.**

ის რომ მოამზადო, უნდა აიღო 7 სუფრის კოვზი კუნელისა და ასკილის ნაყოფი, დაასხა 2 ლიტრი მდუღარე წყალი, დადო თბილ ადგილას, შეფუთო და გააჩერო დღე-ღამის განმავლობაში. შემდეგ უნდა გაწურო და ნაყენი შედგა მაცივარში. დავლიოთ დღეში თითო ჭიქა ჭამის დროს 2-3 კვირის განმავლობაში. მკურნალობის კურსის შემდეგ ქოშინი გაქრა. ახლა ჩვენს მეხუთე სართულზე ის ამოდის ულიფტოდ.

**თამარ ხმიადაშვილი, თბილისი**

### თავბრუ აღარ მესხმის!

**ახალგაზრდობიდანვე დაბალი წნევა მაქვს, ამიტომ ხშირად მაწუხებდა თავბრუსხვევა. მაგრამ ახლა მაქვს შემოწმებული საშუალება ამ უსიამოვნების საწინააღმდეგოდ.**

●ავიღოთ 1 ჩაის კოვზი სამყურას ყვავილედი, დავასხათ 1 ჭიქა ცხელი წყალი, ვადუღოთ 5 წუთი, გავწუროთ. მივიღოთ თითო სუფრის კოვზი დღეში 4-5-ჯერ.

● დაქუცმაცებულ 1 სუფრის კოვზ ცოცხალ ან გამხმარ ბარამბოს ფურცელს დავასხათ 1 ჭიქა მდუღარე წყალი. ვსვათ როგორც ჩაი.

**ნინო, საჩხერე**

### ვქერწავთ ფიგურას

**გაზაფხულზე ბრძოლა ზედმეტ წონასთან განსაკუთრებით არის გააქტიურებული. სულ მალე ხომ უნდა გავიხადოთ თბილი ტანსაცმელი და გამოვეწყოთ მაისურებსა და მოკლე კაბებში. ვფიქრობ, ბევრს ეს არ ახარებს, ზამთარში ხომ ვიმატებთ წონაში. ამ თვალსაზრისით არც მე ვარ გამონაკლისი, ამიტომ პირველივე თბილი დღეებიდან გადავდივარ დიეტაზე. გახდომის პროცესის დაჩქარებაში ბალახის ნაყენი მეხმარება.**

●ნაყენის მოსამზადებლად აიღეთ ვარდკაჭაჭასა და ბაბუაწვერას ფესვების თითო ნაწილი და ოროვანდის სამი ნაწილი, ასეთი ნაკრების 1 სუფრის კოვზს დავასხათ ჭიქა მდუღარე წყალი და გავაჩეროთ დაახლოებით ერთი საათი, შემდეგ გავწუროთ. ნაკრებს უნდა ვსვამდეთ დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, ნახევარნახევარ ჭიქას დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

**ირინა, კასპი**



სიტყვის თაყვანისცემა

# წიგნი – პორტრეტი




ია სულაბერიძე პოპულარული პოეტია ამ სიტყვის სიღრმისეული, ძირეული გაგებით. ყოველ შემთხვევაში, მას აქვს ყველა თვისება და შესაძლებლობა იმისათვის, რომ იყოს ხალხისათვის, საზოგადოებისათვის გასაგები და მისაღები პოეტური ნატურა. მეტიც, — ახლახან გამომცემლობა „ბაკმის“ მიერ გამოცემული კრებული „თავიდან ბოლომდე“ კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ იგი ერთ-ერთი საუკეთესო ლირიკოსია დღევანდელ ქართულ პოეზიაში. ქართულ ლირიკას აქვს თავისი მყარი კანონები, თავისი ფორმა, სახე, შინაარსი, სულაც — ისტორია, და, თუ ამ თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, უნდა ითქვას, რომ იას ლექსები — ეს არის ტრადიციისა და თანამედროვეობის სინთეზი , განხორციელებული ინდივიდუალურობის ნიშნით.

ია სულაბერიძის პოეტური ფილოსოფია უბრალო და გასაგებია — წრფელი ლირიზმი, — შეხამებული რაციონალიზმთან, ამას ემატება ბრწყინვალე ტექნიკა, მელოდიურობა და, საერთოდ, მჭიდრო კავშირი ქართული კონვენციური ლექსის ტრადიციებთან. კაცმა რომ თქვას, სწორედ ეს არის ის თავისებურება, რითაც მან თავი წარმოაჩინა პოეტური კარიერის დასაწყისიდანვე, როცა მურმან ლებანიძემ მასში გამორჩეული ტალანტი შენიშნა და ბრწყინვალე მომავალიც უწინასწარმეტყველა. არის კიდევ მასში რაღაც, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ეს არის პასუხისმგებლობა პოეტური კულტურის წინაშე და სიტყვის თაყვანისცემა.

ია სულაბერიძე ერთგულად იცავს ეგრეთ წოდებული ლირიკული თხრობის მანერას, რაც ესოდენ იშვიათია დღეს, აბსტრაქციონიზმისა და სიურეალიზმის ზეობის ხანაში.

მთელ წიგნს მსჭვალავს ავტორის ბიოგრაფიული პიროვნება, მისი პოეტური „მე“.

პოეტის ხასიათისა და განცდების გადმოცემის დიალექტიკა წარმოგვიდგება, როგორც უაღრესად მწყობრი და დამაჯერებელი ტენდენცია. სრულიად აშკარაა, რომ თვითგამოხატვის სტიქია უშუალოდ შინაგან სამყაროში, პოეტურ წარმოსახვაშივე ფორმირდება და მასში ნაკლებად ერევა გარეგანი, ხელოვნური ფაქტორები.

ადამიანური განცდების სიხალასე, უშუალობა და სიღრმე თავის მხატვრულ განხორციელებას პოვებს, რაც დამატებითი სტიმულია პოეტის სოციალური აქტივობისათვის. ნიშანდობლივია ირონიული ეპატაჟით შეფერილი ფრაზა, რომელიც მეორდება ლექსში „პოეტი“:

„მე ვწერ ცხოვრებას —
ღიმილად და ცრემლად
გაყოფილს,
მე ის წიგნი ვარ,
რომ დაფერფლავ და ვერ
დახურავ!“

ეს არ არის სამოქალაქო ლირიკა, ეს არის საზოგადოებრივი ლირიკა, რომელსაც ზემოქმედების მეტი და ეფექტური საშუალებები აქვს, იმიტომ, რომ წარმატებით იყენებს პოეტურ-ფსიქოლოგიურ ნაკადს, თანაც — მყარსა და შეუვალს.

ასეთია ია სულაბერიძე და მისი ახალი კრებული, — წიგნი-პორტრეტი.

ივანე ამირხანაშვილი

## ია სულაბერიძე

### ავტოპორტრეტის მაგიერ

*მიყვარს ყვავილი და მიყვარს დენთი*
*და არ მივტირი დროის მანქანებს,*
*რადგან, თუ მომკლავს სიკვდილი ერთი,*
*მეორე — თითსაც ვერ დამაკარებს.*

*არ დადგა ჩემგან შემკრთალი ნუკრი,*
*არც — სიყვარულის მშვიდი მსახური,*
*და არ მადარდებს, ამქვეყნად თუკი*
*მოვედი გონჯი და უსახური.*

*მოხარული ვარ, რომ გრიგალისგან*
*ზურგით არასდროს შევტრიალდები,*
*მოხარული ვარ, რომ დედამიწას*
*თავქარიანიც ვეპრიანები,*

*რომ ცისქვეშეთში სულ ხიფათს ვეძებ,*
*რომ ბედისწერას არ ვეხუმრები,*
*რომ პოეზიის ციცაბო კლდეზე*
*უნდა ამოვჭრა საფეხურები...*

ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ უინსტონ ჩერჩილს ნობელის პრემია მინიჭებული აქვს ლიტერატურის დარგში.

● „ატარეთ ნაცრისფერი სამოსი, იდექით ჩრდილში და ნურასოდეს გამოიჩენთ ინიციატივას“, — ასეთია ტალეირანის უნივერსალური რეცეპტი მათთვის, ვინც კარიერის გაკეთებას აპირებს.

● „იგი უდავოდ საშიში ადამიანია, რამეთუ თავადაც ურყევად სწამს იმისა, რასაც ამბობს“, — ამბობდა ონორე მირაბო რობესპიერზე.

● XVIII საუკუნეში ინგლისის ჩრდილოამერიკულ კოლონიებს სასტიკი ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული ბრიტანეთის ფლოტთან. ამერიკული და ფრანგული გემები განურჩევლად ესხმოდნენ თავს ინგლისის როგორც სამხედრო, ისე სავაჭრო გემებს. ბენჯამინ ფრანკლინის ინიციატივით, ბრიტანული გემების მხოლოდ ერთი ჯგუფი გამოაცხადეს ხელშეუხებლად და ამ ჯგუფის ხელმძღვანელი იყო მოგზაური ჯეიმს კუკი.

● გეორგ ჰეგელს ეკუთვნის საოცარი გამოთქმა: „შეუძლებელია ჩემი ფილოსოფიური მოძღვრების გადმოცემა მოკლედ, გასაგებად და ფრანგულად“.

● პოეტ ბაირონის სრული სახელი და გვარია ჯორჯ გორდონ ნოელი.

● 1336 წლის 11 მარტს მომთაბარე სოფელ ხოჯა-ილღარში გათურქებული მონღოლი ბეგის, ტარაღაის იურთაში დაიბადა ბიჭი და მას დაარქვეს — თემური.

● ახალგაზრდა იულიუს კეისარი ხელებს ზურგს უკან იკრავდა და ისე ვარჯიშობდა ცხენოსნობაში.

● უინსტონ ჩერჩილი ამბობდა, სახელმწიფოს რეპუტაციის ყველაზე ზუსტი საზომი ის თანხაა, რომლის ვალად აღება შეუძლიაო.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

**იყიდება, ქირავდება!**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.



**ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7039 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3650 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7283 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9315 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.6346 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1479 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1473 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0749 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5928 ლარი |



ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ გ. ახვლედიანის ქ. №19,
99-62-77;
899 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

შეკითხვა სომხურ რადიოს:

— სად გამოდის მსოფლიოში ყველაზე სასაცილო ლილიპუტების ცირკი?

— კრემლში.

* * *

სიმპოზიუმზე ორი ექიმი გატაცებით საუბრობს.

... და უნდა გამოგიტყდეთ, კოლეგა, რომ ჩემს საექიმო პრაქტიკაში მხოლოდ ერთხელ დავუშვი დასანანი შეცდომა.



— რა შეცდომა?

— მხოლოდ ორი ვიზიტით მოვარჩინე პაციენტი. მერე კი სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ იგი მულტიმილიონერი ყოფილა...

* * *

— ძვირფასო, არ გეჩვენება, რომ გზა აგვებნა? — ეუბნება ცოლი ქმარს.

— რას არ იტყვი! საიდან მოიტანე?

— იქიდან, რომ ამ ძაღლს აქამდე ორჯერ გადავუარეთ.

* * *

როცა ადამიანს ნაკლოვანებები არა აქვს, მას მეტწილად არც ღირსებები აქვს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24